

600
1961/2


ქართული
საზოგადოებრივი

600/2

78

გეგმვა
და გეგმვა


№ 1 იანვარი 1961



ხელნერი აბრეშუმის წარმოების წულაცუტონის ხსნარის კონცენტრაციის საზომი ავტო-
მატური რეფრაქტომეტრის აწეობა

ხელსაწყობა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამუშავებელი საკონსტრუქტორო ბიურო

მაგარი აზოტმეწვას მეამეტრის დოზატორის გამოცდა





საქართველოს მწერთა კავშირი

ქართული

№ 1

იანვარი

1961

წელი

მეცნიერება და ტექნიკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

ტექნიკური პროგრესის ამოცანები სოფლის მეურნეობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ უდიდესი ამოცანები დასაბა საწარმოო ძალეების შემდგომი განვითარებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს ამოცანები ითვალისწინებს წარმოების ისეთ ზრდას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავვადოთ გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. დასახული ღონისძიებების წარმატებით შესრულებისათვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს შემდგომი ტექნიკური პროგრესის მრავალფეროვნებაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უწყვეტ ზრდას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით იბრძვიან პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა (იხიო) რეალურ განსახორციელებლად. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცთა ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს (1959 წ.), რომელმაც დაამუშავა ღონისძიებანი ქვეყნის საწარმოო ძალეების შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ტექნიკური პროგრესი საბჭოთა კავშირში ზორციელდება სწრაფი ტემპებით, ინჟინერების, კონსტრუქტორებისა და ხალხის ფართო მასების ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად. დიდი წვლილი ტექნიკის განვითარებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის შეიტანეს რაციონალიზატორებმა და გამოგონებებმა, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ.

ტექნიკური პროგრესის ძირითადი არსი ტექნიკის მუდმივი განახლება და სრულყოფაა. წარმოების საშუალებათა ტექნიკური დონის ამაღლება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. ჩარხების, მანქანებისა და მექანიზმების ტექნიკურ დონეზე დამაკიდებელი შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ხარისხი და თვითღირებულება. მთავარია ახალი, უფრო ეფექტური და მაღალწარმოებულობის მანქანების დანერგვა, ძველი მანქანების შეცვლა უფრო სრულყოფილი ახალი მანქანებით.

ახალი ტექნიკის დანერგვასთან ერთად ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან ბერკეტს არსებული მანქანების მოდერნიზაცია წარმოადგენს. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მთელი რიგი სამარჯვების, კონსტრუქციული ცვლილებების მეშვეობით მწარმოებლები აღწევენ მანქანათა მუშაობის გაუმჯობესებას და მათი გამოყენების ეფექტურობის გაზრდას.

ტექნიკური პროგრესი ითვალისწინებს ტექნიკის არა მარტო განახლებასა და მოდერნიზაციას, არამედ ტექნოლოგიის მუდმივ გაუმჯობესებას და საწარმოო პროცესების (ე. ი. მეთოდებისა და ხერხების, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული სახის პროდუქციის წარმოებაში) ორგანიზაციას.

ტექნიკის განვითარება და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება უაზროა მეცნიერების განვითარების გარეშე, ამიტომ ივნისის პლენუმის დადგენილებაში უდიდესი ყურადღება ექცევა მეცნიერების როლის გაღვივებას ტექნიკურ პროგრესში. „საჭიროა, რომ, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — მეცნიერებმა წარმოების მუშაკებთან თანამშრომლობით შეიარაღონ სახალხო მეურნეობა ახალი თეორიული გამოკვლევებით, დასკვნებით, რეკომენდაციებითა და აღმოჩენებით. რომლებიც დააჩქარებენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ხელს შეუწყობენ შეიღწევიან გეგმის წარმატებით შესრულებას“.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და წარმოების გაუმჯობესების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს მძიმე ინდუსტრია და მისი საფუძვლი — მანქანათმშენებლობა. სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია განუზრგვლად ახორციელებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამას, რომელიც დაამუშავა ვ. ი. ლენინმა. „ხოლოდ მაშინ, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიკაცირებული იქნება, როცა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის შეფუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ“ (თხზ. ტ. 31, გვ. 635).





მძიმე ინდუსტრიის წამყვანი როლი იმით განისაზღვრება, რომ იგი უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით, ამაგრებს და აფართოებს სოციალისტური წარმოების მატერიალურ ბაზას. წარმოების საშუალებათა წარმოების შემდგომი, უპირატესი სწრაფი განვითარება აუცილებელი პირობაა გაფართოებული აღწარმოებისათვის. იმისათვის, რომ წლითიწლითი დიდდებოდეს სახალხო მომხმარებლის საგნების და კვების პროდუქტების წარმოება, აუცილებელია ფოლადის, ნავთობის, ნახშირის, ჩარხების, მანქანების, მოწყობილობების და წარმოების ყველა საშუალებათა მოპოვების ტემპის მუდმივი ზრდა.

მსხვილი მრეწველობა და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრია წარმოადგენდა წამყვან ძალას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. მეტალურგიული, სათბობი და მანქანათმშენებლო მრეწველობის შექმნამ და განვითარებამ, ქვეყნის ელექტროფიკაციამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის გადაყვანა თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებამ ბოლო მოუღო სოფლის მეურნეობის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას. იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ჩვენი დღევანდელი სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები: 1958 წლის ბოლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდა 1,7 მილიონი მეტი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადასახით), 700 ათასი სატვირთო ავტომობილი, 500 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 120 ათასი სილოსის ასაღები კომბაინი და მილიონობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. რამდენჯერმე გადიდა შრომის ენერგოშეიარაღება და სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული სიმძლავრეებით.

განსაკუთრებით დიდი წარმატებით თანამედროვე ტექნიკით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვის საქმეში მოპოვებულია სექტემბრის პლენუმის (1953 წ.) შემდგომი, როცა პარტიამ განახორციელა დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მეკეთრი აღმავლობისათვის. 1953-1958 წწ. სოფლის მეურნეობამ მიიღო 668 ათასი ტრაქტორი, 402 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 993 ათასი ტრაქტორის სათესელა, 187 ათასი სილოსის და სიმინდისაღები კომბაინი და ასეული ათასობით სხვა მანქანები. ამ წლებში სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრე გადიდა ერთნახევარჯერ.

უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთესი გამოყენებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შემდგომი ზრდისათვის ჰქონდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს მტკაების რეორგანიზაციისა და კოლმეურნეობებისაში ტრაქტორების მიყიდვის საქმეში. სოფლის მეურნეობის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ

საშუალება მოგვცა კოლმეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები გადაქცეულიყო მსხვილ და უკანასკნელ მძლავრ მეურნეობებად, ისინი ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკას, მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას.

სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლის შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის აღჭურვის უდიდესი ზრდა ახალი, უფრო გაუმჯობესებული მანქანებით, მოწყობილობებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის ფაქტორის მიწოდებულ საფუძვლად და მეცხოველეობაში. შვიდწლიან მანძილზე სოფლის მეურნეობა მიიღებს 1 მლნ-ზე მეტ ტრაქტორს, 400 ათასამდე მარცვლეულის კომბაინს და სხვა მანქანებისა და მოწყობილობების დიდ რაოდენობას.

ჩვენმა მრეწველობამ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ ამაჟამად ისეთი საწარმო სიმძლავრეები შექმნეს, რაც საშუალებას მოგვცემს უახლოეს ხანში მთლიანად დავამკაფოთ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები მექანიზაციის საშუალებებზე, მოვსპოთ ხელით. შრომა და განვასრულოთ კომპლექსური მექანიზაცია სოფლის მეურნეობის წარმოების ყველა დარგში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით მოყვა წარმატებანი ძირითად სასოფლო-სამეურნეო საშუაოთა მექანიზაციის საქმეში. ეს კი მეკეთრიად ამაღიერებს შრომით დანახარჯს პროდუქციის ერთეულზე. ამაჟამად სასოფლო-სამეურნეო საშუაოთა 200-ზე მეტი სახე კოლმეურნეობებში მანქანებით სრულდება. თითქმის 100%-ითაა მექანიზებული ანეულისა და შპრალის მოხევა და სხვა საშუალებები ნიადაგის თესვისწინა მომზადებისათვის. სა-მარცვლე კულტურების მექანიზებულმა თესვამ 1958 წელს 96%-ს მიაღწია, ზამბისა — 98, შაქრის ჰაზარისა — 98, სასარცვლე კულტურების აღება — 20, თიხამ — 54, დასოფლებამ — 84, შაქრის ჰაზარის აღებამ კომბაინით — 54%-ს. მაგრამ, მიუხედავად ამ მიღწევებისა, არსებობს ბევრი საწარმოო ოპერაცია, რომლებიც ხელის სრულდება. რიგი მნიშვნელოვანი საშუაოები ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების მოყვანისა და აღების საქმეში, აგრეთვე მარცვლეულის მოსავლის აღებისშემდგომი დამუშავება და ნაძვის აღება სუსტადაა მექანიზებული.

მნიშვნელოვანდ ჩამოაჩაღა შრომის მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმეში. ასე, მაგალითად, კოლმეურნეობებში წყალმომარაგება მექანიზებულია 20, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 30%-ით. მეცხოველეობაში არასაკმარისად მექანიზებული სატრანსპორტო და დასატვირთ-გადმოსატვირთი საშუაოები.

ამრიგად, ძირითად საშუაოთა მექანიზაციის დროსაც კი ბევრი საწარმოო პროცესი, დამატარე საშუაოე-



ბი ზელით შრომის კიდევ მეტ დანახარჯს მოითხოვს. ურთიერთშორის დაკავშირებულ საწარმოო პროცესთა მექანიზაციის უთანაბრობა მნიშვნელოვნად ამცირებს მანქანათა გამოყენების ეფექტს.

ხელით შრომის დიდი დანახარჯები ზოგიერთი სუსტად მექანიზებული სამუშაოს შესასრულებლად წარმოადგენს მუხრუჭს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. ამიტომ სოფლის მეურნეობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი ამოცანაა ძირითად სამუშაოთა მექანიზაციიდან კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა, რომლის დროსაც მემცენარეობაში ყველა სასოფლო-სამეურნეო პროცესი, დაწყებული ნიადაგის თესვის წინა დამუშავებით და დამთავრებული აღების, აღების შემდგომი დამუშავებით და მოსავლის გადანივებით, უნდა შესრულდეს მაღალმწარმოებლური მექანიზებისა და მექანიზების მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების ტექნოლოგიით გათვალისწინებული ყოველი ოპერაციისათვის უნდა შეიქმნას აუცილებელი მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაკადური პროცესის მაქსიმალურ გამოყენებას. კომპლექსური მექანიზაცია მოითხოვს ისეთი ურთიერთდაკავშირებული სისტემებისა და ერთმანეთის შემესხება მანქანების გამოყენებას, რომლებიც თავიანთი ტექნიკური დონით ახლოსაა ერთმანეთთან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისათვის მიმდინარე შეიღწევაში აუცილებელია შეიქმნას მანქანებისა და მოწყობილობათა დაახლოებით 600 ახალი ტიპი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უმეტესად მაღალი მექანიზაციის დონე სოფლის მეურნეობაში მიღწეულია მარცვლეულის წარმოებაში. მაგრამ კიდევ არსებობს დიდი რეზერვები შრომის დანახარჯის შესამცირებლად 1 ცენტნერ მარცვლეულზე, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის აღებისშემდგომი დამუშავებისა და ნაშის აღებაზე ხელით შრომის მოსხივების გზით. საქმარისა ითქვას, რომ მარცვლეულის აღებისშემდგომი დამუშავებაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იხარჯება 2-2,5-ჯერ მეტი შრომა, ვიდრე მთლიანად კომბინირებულია, დიდი შრომა მიდის აგრეთვე მინდვრებიდან ნაშის აღებაზე.

პურეულის ორჯერად აღება, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს პირდაპირ კომბინირებასთან შედარებით, სულ უფრო ფართოდ იხრება წარმოებაში. 1953 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ორჯერად აიღეს მთელი პურეულის 60%. ორჯერად აღების ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესება მოითხოვს მთელი რიგი ახალი მანქანების დამუშავებას და არსებული მოდერნიზაციას.

აუცილებელია გაუმჯობესდეს სხვა სამარცვლეულის კულტურების მოყვანის საწარმოო პროცესების მექანიზაცია. ცნობილია, რომ თესვის დროს ყოველ მეურ-

ნეობაში საჭიროა მომზადდეს და გადამწიკი გაწევა სათესლე მასალის დიდი რაოდენობა. სამწუხაროდ, ეს სამუშაოები არასაკმაოდ მექანიზებული და მათ შესრულებაზე ხელით დიდი შრომა იხარჯება.

მეტად არადამაკმაყოფილებლადია მექანიზებული საბურთალო და სამარცვლეულო პარკოსანი კულტურების აღება. ამისთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კულტურების მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის საკითხის გადაწყვეტას. აუცილებელია დამუშავდეს სასაძირკვე პარკოსანი კულტურების გაწევისა და აღების მექანიზაციის ტექნოლოგია, საჭიროა ამისათვის შეიქმნას ახალი მანქანები და ისინი შემოწმდეს საწარმოო პირობებში.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სიმინდის წარმოების მექანიზაციის საქმეში. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის მთლიან შეცვლას: ამ კულტურის თესვის კვადრატულ-მეტრზე მეტი მოთხოვნიდან ნაწერგავს მწკრივთა შორისების გრძივ-განივი მექანიზებული დამუშავებით, თესლის დაკალიბრებას, მოსავლის აღების უფრო გაუმჯობესებული ხერხების გამოყენებას.

ამასთან ერთად სიმინდის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დამთავრებისათვის აუცილებელია შეიქმნას ახალი და გაუმჯობესდეს არსებული მანქანები. ასე, მაგალითად, გაუმჯობესებას მოითხოვს კვადრატულ-მეტრზე მეტი სათესელი, რათა თესვის დროს შესაძლებელი გახდეს სასუქის შეტანა. აუცილებელია აგრეთვე შექმნა სიმინდისაღები კომბინისა და ტაროსაწმენდი მანქანებისა, რომლებიც უზრუნველყოფს სიმინდის მაღალხარისხიან უდნაწარმოვად აღებას. საჭიროა აგრეთვე ნაგებობებისა და მექანიზების შექმნა სიმინდის მარცვლის შენახვისა და შრომისათვის.

უდიდესი ამოცანებია დასახული ტექნიკური კულტურების კომპლექსური მექანიზაციის დარგში. ეს კულტურები თავისი შრომატევადობით მნიშვნელოვნად აღემატება სამარცვლეულო კულტურებს.

ერთ-ერთ ყველაზე შრომატევად კულტურად შეჭრის ჰარხალი ითვლება. მის მოვლა-მოყვანაზე თვით მაღალი მექანიზაციის დროსაც ერთ მოწინავე მეურნეობებში ერთ ჰაზე იხარჯება 30-40-მდე კაც-დღე, ხოლო საშუალოდ — 70-მდე კაც-დღე. მარტო მის გამარჯვლასა და გაწმენტვასა და შემოწმებაზე, რომლებიც ძირითადად ხელით სრულდება, მიდის შეჭრის ჰარხლის მოვლა-მოყვანის 40%-ზე მეტი, ხოლო აღებაზე—დაახლოებით 37%. შრომის საერთო რაოდენობიდან, რომელიც იხარჯება შეჭრის ჰარხლის 1 ჰაზე, დაახლოებით ნახევარი მიდის მოსავლის აღებასა და გადანივდაზე. შრომის ასეთი დანახარჯი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე ჰარხალასაღები კომბინები — CKEM-3 მოითხოვს ხელით ფესვების დამატებით გაწმენდას.



მეცნიერებამ და მოწინავე პრაქტიკამ დაამუშავეს ჰარხლის მოვლა-მოყვანის უფრო გაუმჯობესებული მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა მეკვთრად შემცირდეს შრომის დანახარჯი. ამ მხრე ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა ჰარხლის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის შეცვლას — მეცნარეთა კვლარტულ-ბუღბობრივად განლაგებაზე გადასვლას. მარტო 1958 წელს 700 ათას ჰაზე მეტი ჰარხალი მოყვანილი იყო კვლარტულ-ბუღბობრივი წესით. ამჟამად შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ჰარხალი ვაჭრით არაშრომატევად კულტურად და ყველა სამუშაო (ჰარხლის მოვლა, აღება, დატვირთვა-გადმოტვირთვა) შევასრულოთ მექანიზებით.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ბამბულის მოყვანის მექანიზაციისათვის საჭირო აუცილებელ საშუალებათა შესაქმნელად, რათა 1965 წლისათვის მთლიანად დამთავრდეს ბამბულის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. გაიმზღვრა მთელი რიგი ახალი და უკვე არსებული მანქანების შექმნა-გაუმჯობესება, მათ შორის ბამბის თესვის მისამაზადებელი (თესვისათვის), სპეციალური მისამაზებლისა და სამარჯვების, სატვირთვების მთელი კომპლექსის შექმნა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბამბულის მოყვანას კვლარტულ-ბუღბობრივი წესით, რაც მეწყრივი მისამაზებლის მექანიზებული დამუშავების საშუალებას იძლევა.

დიდი ამოცანები დგას კარტოფილის მოყვანის და აღების მექანიზაციის დარგში. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკავშირო ინსტრუქტორის მონაცემებით 1 ჰა კარტოფილის დასარგავად იხარჯება 24-ზე მეტი კაც-საათი, მოვლაზე — 47, ხოლო აღებაზე — თითქმის 417 კაც-საათი. ამჟამად არსებული კარტოფილსარგავი მანქანები, კულტივატორები, მიწაშემოსაყრელი მანქანები, მისამბედი და კიდელი კარტოფილსათხრელი მანქანები სავსებით ვერ უზრუნველყოფს წარმოების მოთხოვნებს. სრულებით არაა მექანიზებული სათესლე მასალის მომზადება, დატვირთვა და გადაზიდვა, ორგანული სასუქების გადმოტვირთვა და გადანტვა.

ხელით დიდი შრომა იხარჯება კარტოფილის აღებაზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია უფრო გაუმჯობესებული კარტოფილსაღები მანქანის, აგრეთვე კარტოფილის დამხარისხებელი, დასატირითი და გადასახლის მანქანების შექმნა.

ჩაი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ წამყვან კულტურად ითვლება. ჩაის კრეფა მეტად შრომატევადი პროცესია და ამჟამად ხელით წარმოებს. საბჭოთა კონსტრუქტორები მუშაობენ ჩაის მექანიზებული კრეფის საკითხის გადასაწყვეტად. უკვე შექმნილია ჩაის საკრეფი მანქანის რამდენიმე ვარიანტი და ახლო მომავალში ამ კულტურის კრეფის მექანიზაციის საქმე, ალბათ, წარმატებით გადაწყდება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქვს კომპლექსური მექანიზაციისა და გაუმჯობესებული ტექნიკური პროცესების დანერგვის საკითხები მეცხოველეობაში. მეცხოველეობის ფერმებში კომპლექსური მექანიზაცია საშუალებას მოგვცემს შრომის ნაყოფიერება გაზარდოს იქნეს 2,5-3-ჯერ.

ძროხების დაუმეზლად შენახვა, საძროხეების კვლამ-მოწყობა, საწველი ჰაქენისა და საკვებუბების მოწყობა, საღორეების აღებუბა ავტოსაკვებუბებით, წყალმომარაგების მექანიზაცია, მეცხოველეობის ფერმებში დასატირითი-გადმოსატირითი და სატრანსპორტო სამუშაოების მექანიზაცია — ყოველივე ეს ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდებს და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

კომპლექსური მექანიზაცია და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია სოფლის მეურნეობაში განუყრელადაა დაკავშირებული ელექტროენერგიის ფართო გამოყენებასთან. მსხვილი სახელმწიფო ელექტროსადგურების მშენებლობა და ამის საფუძველზე მძლავრი ენერგოსისტემის შექმნა, აგრეთვე საკომეურნეო, კომეურნეობათშორისი, რაიონთშორისი ელექტროსადგურების მშენებლობა საშუალებას იძლევა დაჩქარდეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია. ელექტროენერგიის მომხარება მსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში 1957 წელს 166-ჯერ გადაჭარბა 1928 წლის დონეს.

ელექტროენერგია სოფლის მეურნეობაში გერგერობით ძირითადად გამოიყენება სტაციონარულ სამუშაოებზე. მემინდერეობაში საჭირო ენერგიის საერთო რაოდენობიდან ლეწვაზე მოდის 7,6%, მარცვლეულის გაწმენდაზე — 29,3, მის დახარისხებაზე — 16,9, მარცვლეულის გაშრობაზე — 20,5, მორწყვაზე — 16,8 და სხვა სამუშაოზე — 8,9%.

ელექტროფიკაციის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობაში შრომის დანახარჯის შემცირებისათვის. მაგალითად, წყალმომარაგების ელექტროფიკაცია ავტოსაკვებუბის გამოყენებით შრომის ნაყოფიერებას დარწყულებაზე ზრდის 100-ჯერ, ხოლო წველაზე — 4-5-ჯერ.

დიდი მიღწევები მოპოვებული ცხერების ელექტრომექანიკური პარსვის საქმეში. ელექტროენერგია ფართო გამოყენებას პოულობს მეფრინველეობაში და სხვ.

კომპლექსური მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის ძირითადი გზაა. კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს ტექნიკური პროგრესის საკითხებს, რადგან აქ ხედავს კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ძირითად პირობას. სწორედ ამ საკითხებისადმი იყო მიძღვნილი სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის იანვრის პლენუმი.

გაბრიელა მეტნერიძე და ინჟინერა

(კრთ. ქ. ზაგრივის დაბადების 70 და საინჟინრო-სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო)

რ. მონაპოლი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ზ. ნილოსანი

ატენიის მეცნიერებათა კანდიდატი

ჩვენი ქვეყნის მშენებლებმა, მეცნიერ მუშაკებმა და ფართო ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულით აღნიშნეს კ. ზაგრივის დაბადების 70 და საინჟინრო-სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

კირიკ ზაგრივი დაიბადა 1891 წლის 29 იანვარს ქ. თბილისში, სამხედრო ტოპოგრაფის ოჯახში. 1903 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-3 ვაჟთა გიმნაზია და გაემგზავრა ქ. პეტერბურგს, სადაც იგი შევიდა საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მან კარგი საწარმოო პრაქტიკა გაიარა ზეგბის მშენებლობაზე; მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლის თანამშემწედ სასახლის ხიდის მშენებლობაზე ქ. პეტერბურგში. 1913 წელს მან გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო ნაშრომი დრეკადი ძელების წინაღობის შესახებ რთული გრძივი ლუნვის მიმართ.

1914 წელს კ. ზაგრივმა დაამთავრა ინსტიტუტი და ხიდის საუკეთესო პროექტისათვის ოქროს მედალი მიიღო. ამავე დროს პეტერბურგის საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტმა იგი მასწავლებლად მიიწვია მასალათა გამძლეობისა და უმაღლესი მათემატიკის დარგში. მასალათა გამძლეობის დისციპლინაში იგი მუშაობდა ცნობილი რუსი მეცნიერის ს. ტიმოშენკოს ასისტენტად.

1915 წლიდან იგი სამხედრო ობიექტებზე მუშაობდა ჯერ სამუშაოთა მწარმოებლად, ხოლო შემდეგ სამხედრო ხიდების მშენებლობის სამუშაოთა უფროსად. მან დააპროექტა და ააშენა დიდმალიანი ხიდების მთელი რიგი მდ. ნემაზე, ორი ხილი ქ. როჯაშოვში მდ. დნეპრზე, ქ. ნოვოგოროდ-სევერსკში მდ. დესნასა და ბესარაბიის რაიონში.


1918 წლიდან კ. ზაგრივი ქ. ოდესაში მუშაობს. აქ მან ენერგიული მონაწილეობა მიიღო ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანიზაციაში, სადაც შემდგომ იგი მიწვეული იყო დოცენტისა და სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იგი უბრუნდება მშობლიურ თბილისს, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამიერკავკასიის რკინიგზაზე და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ დოცენტად, 1923 წლიდან — პროფესორად, ხოლო 1924 წლიდან — საინჟინრო ფაკულტეტის დეკანად.

1928 წელს მან ენერგიული მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიაში პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, ამიერკავკასიის ნავთობათა ინსტიტუტის, ორგანიზაციაში. ამ ინსტიტუტში მან დაყო 13 წელი, როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში.

1930 წელს კ. ზაგრივმა მონაწილეობა მიიღო სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტისა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ორგანიზაციაში. აღნიშნულ ინსტიტუტებში იგი მუშაობდა დირექტორის მოადგილედ ჯერ სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ, 1932 წლიდან 1957 წლამდე, — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1935 წლიდან, როდესაც ჩვენში შემუშავდა დებულება სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების შესახებ, კ. ზაგრივს აღრე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების საფუძველზე, დისერტაციის დაცვის გარეშე, მიე-



კ. ზაგრივი



ნიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1941 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნასთან დაკავშირებით მან მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება, ხოლო 1956 წელს სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ორგანიზაციასთან დაკავშირებით — აღნიშნული აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება.

ამჟამად კ. ზავრიევი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დირექტორია. აღნიშნული ინსტიტუტი მის მიერ იყო ორგანიზებული 1947 წელს აკადემიის ანტისეისმური მშენებლობის ბუროს საფუძველზე, რომელსაც აგრეთვე იგი ხელმძღვანელობდა. 13 წლის განმავლობაში ინსტიტუტი ვაიზარა და გადაიქცა მძლავრ კვლევით ორგანიზაციად სამშენებლო ტექნიკის დარგში.

კ. ზავრიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და თბილისის ქალაქის საბჭოს დამატებითი. 1940 წლიდან წევრია კომუნისტური პარტიისა. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის კ. ზავრიევი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სხვა ორდენებით.

კ. ზავრიევის მეცნიერული მოღვაწეობა მრავალფეროვანია. მას 104 შრომა აქვს გამოქვეყნებული სამშენებლო მეცნიერების ძირითად პრობლემებზე საკითხებზე. როგორც უზოთო აღენიშნეთ, პირველი მეცნიერული შრომა კ. ზავრიევმა დაბეჭდა 1913 წელს, როდესაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მაგრამ სხენებული შრომა ჩვეულებრივი სტუდენტური შრომა როდესაც იყო. ამ შრომამ პირველად ჩაეყარა საფუძველი ნაგებობათა გაანგარიშების თეორიას კრიტიკული დატვირთვების მიხედვით. მხოლოდ 15-20 წლის შემდეგ შეუდგენენ საზღვარგარეთ აღნიშნული საკითხის დამუშავებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში სამშენებლო ტექნიკა პრაქტიკის მოთხოვნას პასუხობდა, საჭირო იყო ლითონის ხიდების აღდგენა და მათი ვარგისიანობის გამოცდა. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში საჭირო შეიქმნა ქვის ხიდების გაანგარიშებისა და რკინაბეტონის თეორიის განვითარება ლითონის გეონომიის მისაღწევად. ამ მიზართულებით კ. ზავრიევის დამსახურება საყოველთაოდაა ცნობილი.

უსასროლ ქვის ხიდების გაანგარიშების თეორიაში მან შეტანა უზოვა გერმანელ მეცნიერ შტრასენერს და შეიმუშავა თავისი თეორია, რომელიც როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ გამოქვეყნდა; დამუშავდა აგრეთვე ქვის თაღების სწრაფი გაანგარიშების ხერხი და საანგარიშო ცხრილები, რომლებშიც ფართო გამოყენება პოვა დამპროექტებელ ინჟინერთა შორის.

კ. გორის, ლენინაჯისა და ყირიმის მიწისძვრების შემდეგ კ. ზავრიევმა ხელი მოჰკიდა ნაგებობების სისუსტის შემოღწევაზე გაანგარიშების საკითხის შესწავლას და წამოაყენა ახალი, სისიმომდგრადობის დინამიკური თეორია ბევრად უფრო ადრე, ვიდრე იგი საზღვარგარეთ განვითარდა. მან შეიმუშავა აგრეთვე ანტისეისმური ლონისძიებები და კონსტრუქციები, კერძოდ, რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყლები.

ცემენტის გეონომიასთან დაკავშირებით კ. ზავრიევი ხანგრძლივად მუშაობდა ბეტონის შედგენილობის დამპროექტების საკითხებზე და მისი ხელმძღვანელობით შეიმუშავდა ახალი ხერხი, რომელიც უზრუნველყოფდა ბეტონის მარკას ცემენტის გადახარჯვის გარეშე. რკინაბეტონის მშენებლობის და განსაკუთრებით ნაკრები რკინაბეტონის განვითარებასთან დაკავშირებით კ. ზავრიევმა ნაყოფიერი იმუშავა მსუბუქი რკინაბეტონისა და წინასწარ დაამზადებული რკინაბეტონის საკითხებზე. სხვა კვლევებიდან აღსანიშნავია სტატიკურად უცვლელი სისტემების ანგარიში კრიტიკული ძალების მიხედვით პლასტიკურობის გათვალისწინებით, ძელების ანგარიში კუმშვისა და ღუნვის ერთობლივ მოქმედების დროს, საანგარიშო განივი ძალის განსაზღვრა გრძივი ღუნვის დროს, თავისუფალი და იძულებითი რხევის შესწავლა მიმდევრობითა და განუყოფელი მეთოდით.

სისიმომდგრადობისა და მასთან დაკავშირებით ნაგებობათა დინამიკის საკითხები ყოველთვის წარმოადგენდა კ. ზავრიევის კვლევის საგანს. მან ღრმად შეისწავლა ქვის ნაგებობათა, კერძოდ ქვის თაღების, სისიმომდგრადობა, ნაკრები რკინაბეტონის შემოღებასთან დაკავშირებით მისი ხელმძღვანელობით სამშენებლო საქმის ინსტიტუტში დამუშავდა ანტისეისმური ლონისძიებები, რაც ნაკრები კონსტრუქციების დამონოლითების ხერხებს წარმოადგენდა. შეიმუშავდა ანტისეისმური კონსტრუქციების ალბომები და სეისმურ რაიონებში მშენებლობის საკავშირო ნორმები.

კ. ზავრიევი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ანტისეისმური მშენებლობის კომისიის მუშაობას. ჯერ ანტისეისმური მშენებლობის ბუროს, ხოლო შემდგომ სამშენებლო საქმის ინსტიტუტის ხანგრძლივი ხელმძღვანელობის შედეგად მან შექმნა ანტისეისმების ქართული სკოლა. აღსანიშნავია აგრეთვე მის მიერ შექმნილი სკოლა ნაგებობათა გაანგარიშების დარგში მათი ზიდვის უნარის მიხედვით. უკანასკნელი დროის მანძილზე მან აქტიური მონაწილეობა მიიღო როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში; მავალითა, 1957 წელს საერთაშორისო კონფერენციაში წინასწარ დაამზადებული რკინაბეტონის შესახებ, რომელიც აშშ-ში შედგა, და საერთაშორისო კონფერენციაში ნაგებობათა სისიმომდგრადობის შესახებ, რომელიც 1960 წელს იაპონიაში გაიმართა. იგი აშშ-ის წინასწარ დაამზადებული

რეინაბერტონის ინსტიტუტის წევრია 1957 წლიდან, არანაკლები მნიშვნელობისაა კ. ზაფრიევის პრაქტიკული საინჟინრო მოღვაწეობა მშენებლობის დარგში.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ საქართველოში საბ. კოთა ხელისუფლების დამყარებამდე კ. ზაფრიევს მნიშვნელოვანი პრაქტიკული სტაჟი ჰქონდა. მას შემდეგ მან დააპროექტა ორმოცზე მეტი ხიდი და კონსტრუქცია, რომლებიც ცხოვრებაში განხორციელდა. დასაწყისში საქართველოში არ იყო ბევრი სპეციალისტი ხიდების მშენებლობის დარგში. მან შექმნა ხიდების მშენებლობის მძლავრი სკოლა. მისი ყოფილი სტუდენტები მისივე ხელმძღვანელობით ჩაებნენ დიდმალიანი ხიდების დაპროექტებაში. ამავე სპეციალისტების დახმარებით მან შექმნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უპირველესი ხიდების საგამომცდელი სადგური. კ. ზაფრიევი მრავალრიცხოვან კონსულტაციებს აძლევს დამპროექტებლებსა და მშენებლებს. დიდი დასწრება აქვს ყოველთვის მის პოპულარულ ლექციებს მშენებლობის საკვანძო საკითხებზე.

თითქმის მთელი თავისი საინჟინრო მოღვაწეობის მანძილზე კ. ზაფრიევი პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. საქართველოში იგი 1921 წლიდან განუწყვეტლივ მოღვაწეობს პედაგოგიურ სარბიელზე. კ. ზაფრიევი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს სტუდენტებს შორის. ეს სიყვარული მათ მიყ-

ვებათ ინსტიტუტის დამოთავრების შემდეგაც. მისი ყოფილი სტუდენტები დღესაც სარგებლობენ მისი ცოდნით, კონსულტაციითა და დახმარებით. მისი მიაზონებით უზიარებს მათ. კ. ზაფრიევის სამსწავლო სახელმძღვანელოები ნაგებობათა გამძლეობის დარგში მიეკუთვნება უადრესი სახელმძღვანელოების რიცხვს, გამოცემულს საბჭოთა კავშირში. მან მრავალი მეცნიერი მუშაი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. მისი მოწიფებიდან 23-მა მეცნიერმა მუშაყმა მოიპოვა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 25 წლის მანძილზე იგი უცვლელი თავმჯდომარეა სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს განყოფილებაში.

კ. ზაფრიევი ფართოდაა ცნობილი როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწე. იგი მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის წევრია.

კ. ზაფრიევი ახლაც სასევა ახალგაზრდული ენერგიით. იგი არც ერთი ნაბიჯით არ ჩამორჩება ტექნიკის განვითარებას და დაუშრეტელი ინტერესით განაგრძობს მეცნიერულ კვლევას. იგი კვლავ გულისხმიერი მასწავლებელია და ფართო კვლევითი კოლექტივის ხელმძღვანელი. კ. ზაფრიევი კვლავაც გაამდიდრებს ჩვენს სამშენებლო ტექნიკას ახალი მეცნიერული ნაშრომებით. მისი მდიდარი გამოცდილება მომავალშიც შეუწყობს ხელს სამეცნიერო კადრების შექმნას.

CKTC-6A სათესი


CKTC-6A სათესი განკუთვნილია შაქრის კარხლის კვადრატულ-ბუდობრივი ან სწორკუთხა-ბუდობრივი თესვისათვის. მასზე საზომი მავთულის გადანაწილ ნარმოებს მექანიკურად, დიაგნალურად, შაქრის კარხლის დაუაღიბებული თესლი მაქანას შეაქვს შეწყვილებულ ბუდეებში, სადაც კარხლის თესლთან ერთად ერთდროულად წარმოებს მინერალური სასუქის შეტანაც.

შეწყვილებული ბუდეების ცენტრებს შორის მანძილია 100-120 მმ, ხოლო ორი ბუდის ცენტრებს შორის მანძილი დამოკიდებულია თესვის სქემაზე და შეიძლება იყოს 450, 500, 600 მმ.

სათესის მოღების განაა 2,7 მ, 4,5 მ კმ/საათ. სიჩქარისას ნაყოფიერებაა 1,1 მკ/საათ.

მაქანას აქვს 6 ჩამთესი, 6 თესლამაშოთის და 3 ორქვალაინი სასუქგამოშოთის აპარატები. თესლის ჩათესვის სიღრმეა 20-60 მმ. საგზო ღრები შეადგენს 450 მმ-ს.

სათესის წონაა 730 კგ. გაზარტული ზომებია: სიგრძე — 2270, სიგანე — 3850, სიმაღლე — 1400 მმ.



სათესი უზრუნველყოფს თესვის სამ სქემას: $450 \times 450 \times 2$, $450 \times 500 \times 2$ და $450 \times 600 \times 2$. ამასთან მეცნარეთა რაოდენობა 1 მკ-ზე, როცა ბუდეში 1 მეცნარეა, შეადგენს დაახლოებით 100.000, 90 000 და 75 000-ს.

გეოდეზიკური აღწერის მანქანები

2. ნიჰარაძე

1958 წლის 16 ოქტომბერს სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიასთან“ ამერიკელებმა პირველად იხილეს ავტომობილი „ფაირბირდ-III“, რომელიც საშუალო განსხვავდებოდა იმავე ტიპის ორი აღრინდელი მოდელის „ფაირბირდ-I“ და „ფაირბირდ-II“-საგან.

თუ წინა მოდელებში ავტომობილის ძარას ფორმა აეროდინამიკური იყო, „ფაირბირდ-III“-ს აქვს რაკეტის ფორმის ზოგიერთი ელემენტი.

ამ ავტომობილზე პირველად მსოფლიოში მანქანის მართვისათვის აუცილებელი ნაწილები — საჭე, სამუხრუჭე და გადაბმულობის სატრფულები — შეცვლილია ერთი პატარა სახელურით, რომელიც ასრულებს ყველა მათ მოვალეობას. იგი მოთავსებულია მძღოლსა და მგზავრს შორის და შესაძლებელია მანქანის მართვა ორივე ადგილიდან. ამ მანქანაზე პირველად სცადეს მკვეთრად გაეუმჯობესებინათ მძღოლის მუშაობის პირობები, რისთვისაც გამოიყენეს ელექტრონიკა საანგარიშო გამოსათვლელი მოწყობილობის (მანქანის) სახით. მართვის ასეთი პრინციპის გამოყენების დროს შესაძლებელია განხორციელდეს:


1. მოძრაობის საერთო კონტროლი წინასწარ მოცემული სათანადო სიჩქარით და ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებითა და საიმედოობით.

2. საავტომობილო გზის საღერში ჩაწყობილი მაღალი სიხშირის დენის ორი სადენის მიმართ ავტომობილის მოძრაობის დროს მისი მდებარეობის ავტომატურად ზუსტი ფიქსირება.

თანამედროვე ავტომობილით მოძრაობის დროს, განსაკუთრებით შორ გზაზე, სუსტდება მძღოლის ყუ-

რადლება, რაც ამცირებს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებას განსაკუთრებით დიდ სიჩქარეებზე.

უახლოეს მომავალში მძღოლის მეგრ ავტომობილის მართვის დროს არ იქნება ისეთი მდგომარეობა, როგორცაა თანამედროვე მანქანებზე მუშაობისას. მართვის ავტომატიზაციის განხორციელებით იგი ნაკლებად დაიღლება და გადავიღდება მძღოლის მუშაობის პირობები.




ნახ. 2

„ფაირბირდ-III“ ორადგილიანი აირტურბინული ავტომობილია, რომლის საერთო ზედი მოცემულია 1-ლ ნახ.ზე. მისი ძარა დამზადებულია მსუბუქი ლითონის მასალისაგან. მანქანაში ჩასხდომის გადავიდებისა და მგზავრობის კარზე პირობებისათვის მოწყობილია მაღლა ასახდელი ორგანული მინის ზუფიანი კარი. მგზავრების მზის მცხუნვარებისაგან დასაცავად მინის ზუფს აქვს სპეციალური ამრეკლი ფენა.


ავტომობილის ძარა და ყველა მექანიზმი მაგრდება ჩარჩოზე (ნახ. 2), რომელიც მზადდება სპეციალური პროფილის მაღალხარისხიანი შენადნობისაგან. ჩარჩოს წონაა 100 კგ. ჩარჩოს უკან ნაწილში, მისთვის მოწყობილ ბაქანზე, იდგმება ძრავა, ხოლო ავტომობილის წამყვანი ლერძებისათვის ჩარჩოს მოწყობილი აქვს პულეები.

ავტომობილის ძრავა GT-305 აირტურბინულია, სიმძლავრით 225 ცხ. ძ. — 33000 ბრ/წთ. ძრავას წონაა 272 კგ. ბრუნთა ასეთი დიდი რაოდენობა რომ გადაეცეს ძრავიდან წამყვან თვლებს, საჭიროა ბრუნთა რიცხვი შემცირდეს, რისთვისაც ავტომობილზე დადგმულია „ჰიდრომატიკის“ ტიპის ავტომატური ოთხსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელიც შეერთებულია მთავარ გადაცემასთან და ფრქიულულ შემნელებელთან.

გადაცემათა კოლოფის ავტომატური გადართვით განხორციელებულია აირტურბინული ავტომობილის



ნახ. 1



ნახ. 3. 1—გადაცმთა კოლოფის ლიფი, 2—ხასწრაფო დამუხრუპების დგუში, 3—დამართზე დამუხრუპების დგუში, 4—უმრავი დისკოები, 5—მბრუნავი დისკოები, 6—ზეთის გავრღების სისტემის ტუმბო, 7—კონუსური ქურო, 8—წამყვანი რგოლი

მაქსიმალური აჩქარება, რომლის დრო დამოკიდებულია მხოლოდ აირტურბინის აირის გენერაციასზე. ტურბინის უქმი სელის რეჟიმიდან (14000 ბრ/წთ) ნომინალურზე გადასვლისათვის საჭიროა 6 წამი. ტურბინის ბრუნთა რიცხვი დამოკიდებულია მართვის სახელურის მდგომარეობაზე.


ჩვეულებრივ შიგაწვის დგუშიანი ძრავას გამოყენება შესაძლებელს ხდის ავტომობილის ძრავათა დამუხრუპებას დაღმართზე მისი მოძრაობის დროს. ამ შემთხვევაში ძრავის მუშა ლოლის შემობრუნებისათვის უნდა გადაილახოს ხახუნი მის საკისრებსა და სხვა მოძრავ ნაწილებში, სადაც შთანთქმება მოძრავი ავტომობილის კინეტიკური ენერგია; აირტურბინული ძრავას გამოყენება ავტომობილის დასამუხრუპებლად შეუძლებელია, ამიტომ „ფაირბირდ-III“-ზე დადგმულია ფრიქციული შემნელებელი, რომელიც ასრულებს მუხრუპის როლს როგორც დაღმართზე, ასევე ავტომობილის ავარიული დამუხრუპებისას (ნახ. 3). ფრიქციული შემნელებელი მოთავსებულია მოთავსიდან გადამცემის შემდეგ, როდესაც ავტომობილი მოძრაობს გრძელ დაღმართებზე, ზეთი ტრანსმისიონიდან გადამცემს და წნევას ახდენს დგუშზე, რომელიც გადაიწევა მარცხნივ, ჩართავს კონუსურ ქუროს, ე. ი. გაერთიანებს მბრუნავ და უძრავ დისკოებს; მოხდება ავტომობილის შენელება. იმ შემთხვევაში, თუ „ფრიქციული შემნელებელი“ ჩაერთვება 48 კმ/საათზე მაღალი სიჩქარით, მაშინ ძარას უკანა ნაწილში აიწევა საჭაირი მუხრუპები (ნახ. 4) და დამუხრუპების ძალა მკვეთრად გაიზრდება.

სასწრაფო დამუხრუპებისა და ადგილზე გაჩერებისათვის „ფრიქციული შემნელებლის“ სისტემაში მოქმედებულია მეორე დგუში. იგი მოძრაობაში მართავს მხოლოდ ლიკური ამძრავით, რომელიც შეერთებულია სატერფულთან და იხმარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ე. ი. როდესაც საჭიროა ავტომობილის ადგილზე გაჩერება, ანდა მისი ადგილზე დგომა).



გარდა აირტურბინული ძრავის, „ფაირბირდ-III“-ზე დამხმარე მიწნებისათვის გამოყენებულია შიგაწვის ოთხსტაქიანი, ორილინდრიანი ძრავა წყლის გავრღებით, 3600 ბრ/წთ. 10 ცხ. ძ სიმძლავრით. ძრავა მოთავსებულია ავტომობილის წინა ნაწილში. მას მოძრაობაში მოჰყავს: სერვომექანიზმების აგრეგატები და სამფაზა ცვლადი დენის გენერატორი 115 ვ. ძაბვით. ამ გენერატორით ივსებება ჰაერის კონდიციონერის ვენტილატორები და განათების ფარები. ავტომობილის წინა ნაწილში მოთავსებულ ჰაერის საკონდიციო სისტემის კონდენსატორებს შუა ჩადგმულია შიგაწვის ძრავის გავრღების რადიატორი. დამხმარე ძრავასთან ჩართულია ჰიდრაულური სისტემის ორი ტუმბო და 12 ვ-იანი გენერატორი.

ავტომობილის ოთხივე თვალზე მოწყობილია ჰიდრაულიკური ამძრავიანი მუხრუპები. ამ ავტომობილზე მუხრუპები კონსტრუქციულად ისეა განხორციელებული, რომ თავიდან აცილებულია თანამედროვე საავტომობილო მუხრუპების მუშაობის უარყოფითი თვისებები; მაგალითად, მუხრუპების ზედამირის მაღალი ტემპერატურა, რაც ამცირებს დამუხრუპების ეფექტურობას, დამუხრუპების ძალის სხვადასხვა სიდიდე, რის გამოც ადგილს აქვს მანქანის მოცურებას და სხვ.

მუხრუპების ტემპერატურული რეჟიმის გასაუმჯობესებლად „ფაირბირდ-III“-ის საშუალებით დოლები დამზადებულია ალუმინის შენადნობისაგან, რომლის სპეციალური გამჭოლი არხები დისკოსთან ერთად ქმნის ცენტრალურ ვენტილატორს და აგროლებს ზუნდებსა და დოლებს. ასეთი საშუალებები დოლის კედლის ტემპერატურა ინტენსიური დამუხრუპების დროსაც კი არ აღე-



ნახ. 4



ნახ. 5. 1—ტრენინის მისასაყი, 2—ნეიტრალური აირით შევსებული არე, 3—ტრენინის დიფერენცია, 4—ზეთით შევსებული არე, 5—დუშის ზეითი ხელოს საპირბრუნავი სარქველი, 6—ჰიდრაულიკური ცილინდრი, დამატებით 19 88, 7—დუშის, 8—სარქველი

მატება 149° -ს. სამუხრუვე ზუნდის საფენი მზადდება ლითონკარამიკული მასალისაგან, რომლის ზედაპირი დაფარულია მოლიბდენის შრით. სამუხრუვე ზუნდში განთავსებულია საფენები. ზუნდები მოძრაობაში მოდის ორმაგი ჰიდრაულიკური დღუშით.

საჭის მექანიზმში მოსაბრუნებელი მეშუტებისა და ტრაპეციის წინა თვლების შეყრის სიდიდე, აგრეთვე ტრაპეციის უკანა დახრის სიდიდე წლის ტოლია, ხოლო გვერდზე დახრა — $6^{\circ}38'$, რაც გამოწვეულია იმით, რომ ავტომობილის მართვა ხდება საჭის გარეშე, გზისა და თვლების ურთიერთქმედების ძალები არ გადაეცემა საჭეს. ავტომობილის თვლების მობრუნება განხორციელებულია სერვოცილინდრით, რომელიც წინა ღერძზეა დამაგრებული. იგი ავტომობილის ძარასთან შეერთებულია დრეკადი მილით (შლანგით) და ელექტროგამტარით. ავტომობილის თვლების მობრუნების საკონტროლოდ მართვის მექანიზმში გამოყენებულია წინა ღერძზე დამაგრებული ელექტრული პოტენციომეტრი.

ავტომობილის წინა ღერძი ჩარჩოსთან შეერთებულია ოთხი ბერკეტით, რომელთაგანაც ორი ქვედა — განლაგებულია ჰორიზონტალურად, ხოლო ორი ზედა — ავტომობილის განივ ღერძთან 45° კუთხის დახრით. უკანა თვლების დაკიდება განხორციელებულია წინა თვლების მსგავსად 4 ბერკეტით; უკანა ხიდი მრავალი კვეთისაა, ბოლოებში მას ნახევარღერძებისათვის მოწყობილი აქვს სპეციალური სარქველები.

წინა და უკანა თვლების საკიდარებში გამოყენებულია ჰიდრონემატური დრეკადი ელემენტი. მისი შიგა წნევაა 240 ატმ., რაც გაპირობებულია იმით, რომ მაღალი შიგა წნევის დროს შეიძლება დრეკადი ელემენტი პატარა ზომის ცილინდრების გამოყენება დღუშის დიდი


სვლით; ამავ დროს ჰიდრაულიკური სისტემის საკიდაროა მცირე ზომის ჰიდრაულიკური სისტემის საკიდაროა. ჰიდრონემატური საკიდრის ხედი მოცემულია მე-5 ნახ.ზე, ხოლო დაკიდების ჰიდრაულიკური სისტემა მე-6 ნახ.ზე.

დაკიდების ჰიდრაულიკურ სისტემაში გამოთნაბრებელი სარქველით ხორციელდება ავტომობილის მოძრაობის დიდი სიძლიერე. საკიდრის ელექტრომაგნიტური სარქველი ავტომობილის დიდი აჩქარებისა და შენეების დროს ერთმანეთისაგან თიშავს წინა და უკანა საკიდრებს, რომ ადგილი არ ჰქონდეს ავტომობილის კუთხურ რხევას. ამავ სარქველით ხორციელდება თვლების რხევის მიხედვით საკიდრის სისხტის ავტომატურად შეცვლა: მაგალითად, თუ ერთი თვალი შედგა რაღაც შემალეგებაზე ანდა ჩავარდა ორმოში, საკიდრის დრეკადი ელემენტის სისხტის ავტომატურად შემცირდება, ხოლო თუ რომელიმე ღერძის ორივე თვალი ადგა რაღაც უსწორიობაზე, მაშინ სისხტე ავტომატურად გაიზრდება. საკიდრის მუშაობის ასეთი პირობები ძალზე ზრდის მანქანის მოძრაობის სიძლიერეს.


ავტომობილის მართვა — ე. ი. მისი მოძრაობის მიმართულების შეცვლა, სინქარის მომატება, დამუხრუვება, მანქანის უკუვსლა — „ფიზიბრილ-III“-ზე განხორციელებულია პატარა სახელურის (ნახ. 7) სათანადო მდგომარეობაში გადაწვევით. იგი მოთავსებულია მძღოლისა და მგზავის შორის.

ამ სახელურით ჩაირთვება: თვლების მობრუნების, ძრავის დროსელის გაღების და სამუხრუვე სისტემაში წნევის მოსამატებელი სათანადო მექანიზმები და მოწყვანს მათ მოქმედებაში.

სახელურის წინ გადაწვევით იღება დროსელი, უკან გადაწვევით მოქმედებაში მოდის მუხრუვები, ხოლო მისი გადაწვევით სათანადო მხარეზე ავტომობილი უხვევს იმავე მხარეს.



ნახ. 6. 1—გამოთნაბრებელი სარქველი, 2—პერის აკუმულატორი, 3—ჩაღებული ამორტიზატორი, 4—წინა საკიდართან შეერთებული დრეკადი ელემენტი, 5—უკანა საკიდრის დრეკადი ელემენტი, 6—წინა და უკანა სარქველის ურთიერთქმედების სარქველი, 7—წინა და უკანა საკიდრების დრეკადი ელემენტების ურთიერთქმედების განმსაზღვრელი ელექტრომაგნიტური აქსელერატორი, 8—მკვებავი სათანადო ავზი



ნახ. 7

ავტომობილის გადაცემათა კოლოფი მუშაობს სახელურის გადაწევით შევული ღერძის მიმართ რომელიმე მხარეს. თუ სახელურის გადახრის მიმართულება თანხვდა ავტომობილის გრძივ ღერძს, მაშინ გადაცემათა კოლოფი მუშაობს ძირითად რეჟიმზე, ხოლო, თუ სახელური გადაიწევა გვერდზე 20°-ით, ჩაირთვება უკანა სვლა. სახელურის 80°-ზე გადაწევით ავტომობილი ადვილზე გარეგდება.

მძღოლის მერ „საპის შეგარძნებისათვის“ სახელურში ჩადგმულია აქსელერომეტრი (ჩაქარების საზომი), ხოლო მის ქვედა ნაწილში დამაგრებულია ზამბარა; დიდ სიჩქარეებზე „საპის შეგარძნებას“ ქმნის სახელურის ზედა ნაწილში მოთავსებული მასა (ტვირთი), ხოლო მცირე სიჩქარეებზე — სახელურის ქვედა ნაწილში მოთავსებული ზამბარა.

სახელურის დამაგრება ისეა მოწყობილი, რომ შესაძლებელია მისი დაკიდების სიხისტის ცვლა, რათა ავტომობილის მოძრაობის დროს არ მოხდეს სახელურის რომელიმე მდგომარეობაში შემთხვევით გადაწევა.

ავტომობილის მართვის სახელურის სიგრძეა 101,6 მმ, მისი თავის წონა — 670 გ. ავტომობილის მართვის სისტემაში შედის პოტენციომეტრი, რომელიც სახელურის კუთხურ გადაადგილებას გარდაქმნის ელექტროსიგნალად და სათანადოდ იმორეგლებს ავტომობილის თვლების მობრუნებასა და მათ ფიქსაციას.

ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის მიხედვით იცვლება გადაცემის რიცხვი მართვის სახელურსა და თვლებს შორის, ე. ი. მართვის სახელურს; ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის მიუხედავად, მუდმივი გრძნობიერება აქვს. მართვის სისტემაში მოწყობილია სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც მხედველობაში იღებს საბუ-

რების სიხისტის, წინა დაკიდების, დაწვეწვეწვას, წილების და სხვა ფაქტორებს და სათანადო შესწორებით ერთნაირი სიზუსტით მოჰყავს მოქმედებაში ავტომობილის მართვის მექანიზმი.

ავტომობილის საჩქარო დამუხრუშების დროს მანქანამ რომ არ დაკარგოს მართვადობა, მობრუნების მართვის ხელსაწყოში ჩადგმულია მეორე პოტენციომეტრი, რომელიც მხოლოდ ამ დროს ერთვება.

ავტომობილის მართვის დროს მისი მექანიზმების ყველაზე ხელსაყრელ რეჟიმებზე მუშაობისა და მანქანის უსაფრთხო და მდგრადი მოძრაობისთვის გამოყენებულია სპეციალური სანაგარიშო-გამოსათვლელი ელექტრონული გამაძლიერებლები, რომლებიც აწყობილია ნაბეჭდი სქემებით და მუშაობს ნახევარგამართრილებზე.

მართვის სახელურის სათანადო მდგომარეობას შეეფარდება განსაზღვრული იმპულსები, რომლებიც გადაეცემა გამაძლიერებელს. იგი თავის მხრივ იმპულსებს გარდაქმნის პირდავილიკური ამპრაის სათანადო ძალაში და ამუშავებს ან გამორთავს ამა თუ იმ მექანიზმს ან აგრევატს.

ავტომობილ „ფაირბირდ-III“-ზე გამოყენებული ელექტრონული მართვა საშუალებას იძლევა მთლიანად ავტომატიზებულ იქნეს ავტომობილის მართვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში საჭიროა გზის საფარველ გაყვანილ იქნეს ორი სპეციალური სადენი, რომლებშიც გატარდება მაღალი სიხშირის ელექტროდენი. იგი შექმნის მაგნიტურ ველს და იმორეგლებს ავტომობილზე დამაგრებულ ორ კოჭაზე. მანქანა ზუსტად იჭერს გზის შუა ხაზს, მცირეოდენი გადახვევის დროსაც კი სწრაფად ასწორებს ავტომობილის მიმართვულ თვლებს მართვის მექანიზმზე მოქმედებით. მაგრამ ავტომობილის მოძრაობის მიმართულების ავტომატიზაცია ასეთი საშუალებით მოითხოვს სპეციალური სადენების გზის საფარში ჩაწყობას, რაც დღეისათვის მხოლოდ ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს.

ავტომობილზე გამოყენებულია აგრეთვე წინასწარ დასასული მუდმივი სიჩქარით მოძრაობის მოწყობილობა, რაც განსაკუთრებულია სპიდომეტრის ისრის სათანადო სიჩქარეზე დაყენებით.

ავტომობილის ელექტრონული მართვის ყველა განხილული მოწყობილობა — მოძრაობის სიჩქარის მობატება ან მოკლება, მუდმივი სიჩქარით მოძრაობა, სასურველ მხარეს მოხვევა — დამოკიდებულია მხოლოდ მართვის სახელურის მდგომარეობაზე, ადვილად განსახორციელებელია თანამედროვე ავტომობილებზე. იგი ბევრად გააუმჯობესებს და გააადვილებს მძღოლის მუშაობის პირობებს.





ჩეხოსლოვაკია

კორტატოული პლემბრონული მიგრაციები

ყველაზე მახვილ თაღის არ ძალუძს გაარჩიოს საგნები, რომელთა შორის მანძილი 0,2 მმ-ზე ნაკლებია. მხედველობის, სისხლის მიმოქცევის პირველი ადგილი ელემენტარულ მიგრაციას ეკუთვნის. მისი მეშვეობით შეიძლება დანახვა უწყრილესი ნაწილაკებისა, რომლებიც განლაგებულია მიწისქვეშა ორმოცდაათმეტოთხედის მანძილზე. ასეთ მიგრაციებს, თუმცა ზელსაქსის უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო აგრესიულ წარმოადგენს: მისი სიმაღლე ზოგჯერ 3 მ-ზე მეტია, ხოლო წინა ტერმინზე აღწევს.

ჩეხოსლოვაკიაში კონსტრუქტორებმა შეძლეს ელემენტარული მიგრაციებისათვის მიცემი მაგილის ზელსაქსის სახე. ახალი მიგრაციები იძლევა 150 ათასჯერ მარჯვადობას. თავისი ზომებით იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი — ობტაური მიგრაციისაგან.

ტელეხეივა გეოლოგიური

ქანების შეივლის მდებარეობის განსაზღვრისათვის გეოლოგები ბურღავენ, როგორც წესი, არა ნაკლებ სამი კაბურღავს. ეს ბურღვრებიცაა, რადგან სიბრტყე ჩვეულებრივად განივდება სამი წერტილის მეშვეობით. ბურღვის საშუალებით ამოაქვთ გერმონომიკული ბიოტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქანების შრის აწვევის კუთხე. მაგრამ როგორია ამ ქანების პოლუსური გაგნება, არის თუ არა მათში წერტილი და წარჩევი და ღრუბები? ყოველივე ეს და სხვა ბევრი საკითხი, რომლებიც წარმოიშობა დიდი ნაგებობების საძირკვლის მშენებლობისა და ა. შ. შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს... ტელეხეივრის მეშვეობით. ამას წინადასტოვებენ მონიშვნა ტელეხეივა წარმოადგენს იქნა გამოყენებული კლდედან საფუძველში ბეჭდვის ჩასხვის საბაზისის კონტროლის დროს. სატელეხეივო კამერა აჩვენა საფუძველის 0,2 მმ-ზე მეტი ზომის ყველა ბზარი, მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნა დადგენილი, თუ რომელი მათგანია ამოცხდებული ცემების სხნარები, რომლებიც დარჩა ამოუ-

ცხელი და, ბოლოს, რომელი მათგანია დაფარული თიხით, რის გამოც ცემების სხნარმა ვერ შეადგინა მათში. რადგან სატელეხეივო გეოლოგიური ზონი, მუშაობდა გეოლოგიულ კომპლექსთან შეწყველებით, ძენი არ შეეძლო კაბურღავის კედლის ნებისმიერი წერტილის პოლუსური კორდინატების განსაზღვრაც.

სატელეხეივო გეოლოგიური დანადგარი შედგება ორი ძირითადი ნაწილის — ზონდისა და მანქანისაგან. პირველი მათგანი წარმოადგენს ცილინდრს (დიამეტრი — 115 მმ, სიგრძე — 1400 მმ, წონა — 19 კგ). ობიექტების წინ მათთვისგებულია სარკე, რომელიც ზონდის ღერძის მიმართ დახრილია 45°-ით. მისი ბრუნვა შესაძლებელია კაბურღავის განათვლილია პატარა ნათურებით, რომლებიც საშუალებას იძლევა გადელეხული იქნეს კედლები მთელი გარშემოწერილობით.

სატელეხეივო გეოლოგიური ზონდში დამონტაჟებულია აგრეთვე სპეციალური მოწყობილობა ვერტიკალიდან კაბურღავის ძირითადი გაღების გასაზომად და გეოლოგიური კომპლექსი, რომელიც არტეფაქტების ზონდის ბრუნვის თავისი ღერძის გარშემო. ობტაური გამოსახულება ელემენტარული სენადლების სახით კაბელით ზედება მართვის ზედატანზე, აქ სიგანეები ძლიერდება და ზედება სატელეხეივო გეოლოგიური მანქანაში შემდგომი დამუშავებისათვის.

ამრიგად, ტელეხეივო შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო საინჟინერო გეოლოგიაში გრუნტის საფუძვლის სიტყვიცის გამოცდის, არამედ ქვეანაშინიდან და ნავთობის დაზვერვის დროს.

ჩეხოსლოვაკია-უნგრეთი

პირველი ღუნაიზა

მდინარე ღუნაის თავისი სილითი მეორე ადგილი უკავია ევროპის ედგის შემდეგ. იგი სათავეს ღუნაისპირა ალბებში და სამი ათასამდე კმ-ის გავლის შემდეგ უბრუნდება შავ ზღვას. ოთხი სახელმწიფოს საზღვარი გადის ღუნაიზე, ხოლო მისი აუზი გაიმართა რვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. დიდი ამ წყალგამყოფი მდინარის მიდრეკიერება ტყეული რესურსები. მაგრამ ღუნაიზე მასზე არ აგებულია არც ერთი მიდრეკიერება სადგურია. ამის მიზეზები არა ტექნიკური სირთულეებია, არამედ იმაში, რომ ამ დიდ მდინარეს შეუძლია ბევრი უფროსი, რომელსაც არ შეუძლია და არ სურდა შეთანხმება. მთავარი კი ისაა, რომ XVIII საუკუნიდან დაწყებული 1948 წლამდე ღუნაიზე

ბატონობდნენ არა ტყეების შენახვა, არამედ იმპერიალისტური წყაროების გამო, თუმცა ზოგიერთი მათგანი ღუნაისაგან დაშორებული იყო ზღვებითა და ოკეანეებით.

ამჟამად ყველაფერი შეიცვალა და ქალაქებს ნადშაროშა და ვიშნეგრადს შორის აგებული იქნება ღუნაიზე პირველი მიდრეკიერება. მდინარის კალაპოტი შევიწროებულია დასავლეთი კარსტებით და ღუნაის იქითა მთიანეთით. ასე რომ, მისი სიხვედრის ნახევარ კმ-ს არ აღწევს, კალაპოტის სწრაფი მთლიანი ანდეზიტის კლდე, რომელიც კარგი საყრდენია ნებისმიერი მიდრეკიერების ნაგებობისათვის. მიდრეკიერების კონსტრუქცია უნეველად თავისებური, მარტივი და კომპაქტურია. ჰესის შენობა მდინარის შუაზე დგდება და შეესაბამება კაშხლის ცენტრალურ ნაწილს. მასსა და მარჯვენა ნაპირს შორის გაიმდგმა მთელი წყალსაცავი გამზალი, ხოლო მარცხენა ოგი შეუერთდება ორგანო დიდ გვიწვალ რაბს. მთლიან აქ ჩაქვის სიგრძე 500 მ იქნება. ჩეხოსლოვაკია და უნგრეთის შეერთებული ძალებით აგებული მიდრეკიერები შეაერთებს ღუნაიში გაყოფილ მომცემ რესპუბლიკებს.

მიდრეკიერებისადგურის და წყალსაცავი დიდ გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობაზე. სადგურის მიერ მომუშავედელი ელემენტარული ძალების რაოდენობა წელიწადში 44 მლნ კილოვატსაი იქნება. წყლის ნატბორი გააუმჯობესებს ნაოსნობას მდინარის შუა დონეებში. შეტბორვის სიმაღლე უზრუნველყოფს აბსოლუტურად მიწების მორწყვას სატყეო სადგურის გამოყენებლად.

გერმანია

საწერე მანქანა 276 ნიშნით

ამას წინათ ობტების სახალხო საწარმო (გრფურტი) გამოუშვა საწერე მანქანა სპეციალურად მათემატიკური ტექნიკისათვის 276 სხვადასხვა ციფრით, ასოებით და ნიშნებით. იგი შედგება სამი ცალკეული ობტისა-სტანდარტ M-10 მანქანისაგან, რომლებიც დამონტაჟებულია სპეციალურ სადგარზე. თითოეულს აქვს ერთი საერთო კარტი,



რომელიც ცურავს საერთო მიმართულებით, და მექანიზმი კარტის ერთი მანქანად მეორეზე საჭირო ადგილზე გადაცემისათვის. შუა მანქანის კლავიატურა ციფრებს განსვადდება ჩვეულებრივიაგან: დიდიფური ასოები, ციფრები, სხვები ნიშნები. მარც-

ხენა კლავიატურაზე გოთური შრიფტით ავრთვევ ბატარა ასობით და წვრილი ციფრები ხარისხის მაჩვენებლების, ინდექსებისა და მკავები აღნიშვნების გაოსახტავად, რომლებიც სტრიქონს ქვემოთ ან ზემოთ იწერება. მარცხენა მანქანზე ბეჭდავენ მათემატიკაში შპირად გამოყენებულ ბერძნულ ანბანის ასოებს და ყოველგვარ მათემატიკურ ნიშნებს. როგორც ცნობილია, ბევრი მათემატიკური ნიშანი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სიდიდისა უნდა იყოს. ამიტომ, გარდა მხოლოდ ნიშნებისა, არსებობს მათი შემადგენელი ნაწილები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება გამოისახოს ისეთი ნიშნები, როგორიცაა წრიული, სწორი, რკმლებიც შეიძლება დაიბეჭდოს ახალ მანქანაზე, მნიშვნელოვანად აღემატება მთითი თებულ რიცხვს — 276-ს. მანქანის პირველი ეგზემპლარი დაშვადებულია ილმენაუს მათემატიკის ინსტიტუტის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

მოდერნიზებული

"ტრაბანტი"

მუშაუბმა ავტომობილმა "ტრაბანტი" („ლიმუზინი"), რომელიც უძველეს ციკლუს საავტომობილო ქარხანა, განიცადა



მოდერნიზაცია. იგი გამოწვეულია „ლიმუზინის" ტიპის ძარას შიგნით ავტომობილის გამოშვებასთან დაკავშირებით (აქამდე კეთდებოდა მხოლოდ ლიმუზინი სტანდარტული და სპეციალური შესრულებით).

"ტრაბანტი" კომბინირებული ძარათი დემონსტრირებული იყო 1960 წელს ლაიპციგის საგანგებოლუ ბაზრობაზე და საერთო ყურადღება მიიქცია. მისი წინა ნაწილი იხეივად, როგორც ლიმუზინისა. უკანა ნაწილში მნიშვნელოვნადია წარტელებული გვერდითი მინები და საბურავი, აგრეთვე ჩაღმებული კარები დიდი პანორამული მინით. სათადარიგო თვალი და ინსტრუმენტი თავსდება მათთვის სპეციალურად განკუთვნილ ძარას ნაკვეთურში, რომელიც იატაკის ქვეშაა მოთავსებული. უკანა ხაჯლობის წინ გა-

დახსნის შემთხვევაში ძარაში შეიძლება მოთავსდეს 210 კგ-მდე ტვირთი.

ავტომობილზე დაყენდება მოდერნიზებული ორიცილინდრის, ორტაქტანი ძრავა 500 კუბურში სმ მუშა მოცულობით. გაჯირღება პარისაა. ცილინდრები შვადდება სპეციალური შენადნობისაგან, რომელიც უძლებს დიდ თერმულ დატვირთვას.

ცილინდრების თავი დაშვადებულია აღუმინის შენადნობისაგან, ხოლო წვის კამერებშია უფრო გაუმჯობესებული ფორმა მიღობის, რის გამოც კუმშვის ხარისხი გადიდდა 7:1-მდე.

ძრავას კონსტრუქციით შეტანილია სხვა ცვლილებებიც. კერძოდ, შემოღებულია წიბოები, რის გამოც გაზრდილია მრუდმდგარა მექანიზმის კარტერის სიხისტი; დაუენებულია პორიზონტალური კარბურატორი, რაც აუმჯობესებს სავალი ნარევის მიწოდებას ცილინდრთან; მნიშვნელოვანად შეცვრიებულია ნაშუშვარი აირების შემუშებისა და გამომშვების მძარა.

მოდერნიზაციის შედეგად ძრავას სიმძლავრე გაიზარდა დაახლოებით 2 ცხ. ძალით და აქვამად იგი აღემატება 20 ცხ. ძალას.

ავტომობილისათვის დაპროექტებულია ახალი საბოობი დანადგარი. მანქანა საათში ავითარებს 90 კმ სიჩქარეს.

ჩინეთი

გამომშვდის პირსადენი

ძველი ჩინეთი ბევრი დიდი აღმოჩენისა და გამოგონების ცომასი, სიესმოგრაფი, ქალაქი, დენთი, წიგნის ბეჭდვა და სხვ.) საშობლო იყო. მაგრამ ბევრისათვის რომელიც ცნობილი, რომ ჩინელები ჭკრი კიდევ ათას წელზე მეტი ხნის წინათ არა მარტო იყენებდნენ ბუნებრივ სავალი აირებს, რომლებიც დედაშიწის წიაღიდან ზედაპირზე ამოდის, არამედ მათ მოპოვებასაც აწარმოებდნენ ბურღვის მეშვეობით. 250-300 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთში უკვე ცნობილი იყო ბურღვის დარტყმით-ბავირული ბურბი, რომელშიც ვაგრტელები ევროპასა და აფრიკაში მომოდლე XIX საუკუნეში პოვა.

ბურღვა ხორციელდებოდა ბალანსირის (მტრეილის) მეშვეობით. მის ერთ-ერთ ბოლოზე მაგრიდებოდა ბაქანი, რომელზეც თავსდებოდნენ მუშები, ხოლო მეორეზე — სახტი. მუშები ბტებოდნენ ბაქანზე და აბით აწარმოებდნენ დარტყმებს. ქაბურღლის ჩაღრმავების მიხედვით ბაქანზე მუშების რაოდენობა იზრდებოდა.

ცხელი ბუნებრივი აირების გამოყენება ჩინეთში მეტად ადრე დაიწვს. ათას წელზე მეტია, რაც აქ ექსპლოატაციითა მარბილის მაღარო, სადაც მარბლი შრება ხსნარადან, რომელიც ბურღება ბუნებრივი აირით. XII საუკუნის ცნობილი იტალიელი მოგვა-

ური მარკო პოლო, ერთ-ერთი ბარველი ევროპელი, რომელიც იყო აზიასი, თავის ჩანაწერებში იუწვება ვიშე მთაჰის — შუასტებ, რომლის სახალეს ჰობრინდრუ და ანაობდნენ აირით. იგი სახალეს მიეროდებოდა მილებით, რომლებიც გაყვებული იყო ბამბუკის ღრუ ღერობისაგან.

ბოლომეტი

კლიტეს აღმას მაგნიტი

კლიტეს, რომელიც იღება და იკეტება მაგნიტის მეშვეობით, არა აქვს გასაღების ღრუ:



მას აქვს ფოლადის ცილინდრული საჯალბით, რომელიც მარტვნივ ან მარტვნივ გაღადადებულია ვარდნ მანტინის მიტანით. ასეთი კლიტე შეიძლება გაკეთდეს ჩვეულებრივ, ცალსადალიან და მოსრიად კარბზე; მისი გამოყენება შეიძლება აგრეთვე კარბებისა და ყუთებისათვის.

ჩრდილის საუზმი

ჭკრი კიდევ შენობის აგებამდე შეიძლება გავიგოთ, თუ შვის რამდენი სხივი და ჩრდილი მოვა საპროექტებელ სახელე წელიწადის სხვადასხვა ღრბს. ხელსაწყოში ჩარკობილი ქინძისთავის ყუწრე, რომელიც დაყენებულია მომავალი სახლის შესაბამის მდგომარეობაში, მიაკენებს ჩრდილს თვისა და საათის გრაფიკზე, როცა ასეთივე ჩრდილი ექნება სახლსაც. გრაფიკიანი ქალაქლის დახრის შეცვლით იგი შეიძლება შევუგოთ შვის მდგომარეობას დედამიწის ჩრდილოდა და სამხრეთ ნახევარსფეროებში.



თბილისის მარკის ხელსაწყოებით გეოგრაფიულ რკინიგზას

ინჟინერი შ. შუაბანიძე

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის პროდუქცია კარგადაა ცნობილი როგორც ჩვენს სამშობლოში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. იგი ხელსაწყოთა მშენებლობის პიონერია საქართველოში. ამ თორმეტი წლის წინათ პირველად მიიღო საზღვრი ქარხნის მიერ გამოშვებულმა ხელსაწყოებმა საზღვარგარეთ და ამჟამად ქარხანა პროდუქციას ორმოცზე მეტ ქვეყანაში აგზავნის. საქართველოს ქარხნებიდან მან პირველმა შეიღო მსოფლიოს ბაზრის კარები.

ჩინეთი, მონგოლეთი, ბერძნული, ინდოეთი, ინდონეზია, ცეილონი, კორეა, იაპონია, სირია, ლივანი, პაკისტანი და ერაყი—აზიაში; არგენტინა, ბრაზილია, კუბა და მექსიკა — ამერიკის კონტინენტზე; ბევრი ქვეყანა აფრიკასა და ევროპაში—ასეთია არასრული სია იმ ქვეყნებისა, სადაც კარგადაა ცნობილი ქარხნის პროდუქცია. იემენი იყო რიცხვით ორმოცდამეერთე სახელმწიფო, სადაც გასული წლის მეორე ნახევარში პირველად გაიგზავნა თბილისის მარკის ხელსაწყოები.

ამ პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის ქარხნის ისტორია სხვა ქარხნების ისტორიას არ ჰგავს. მან მუშაობა ერთი ჩაჩხით და 2-3 მუშით დაიწყო.

ცნობილია, რომ კლიმატისა და ნიადაგის თავისებური პირობებისა და თავისი დროისათვის მალაი კულტურის გამო ჩვენი წინაპრები ასეული და ათასეული წლების წინათ იყენებდნენ ხელოვნურ მორწყვას — ირიგაციას, წყალსაცავებს, წყალსადენების მშენებლობას და ა. შ. მაგრამ არავითარი ჰიდრომეტრიული ხელსაწყოების წარმოება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ არსებობდა.


XX საუკუნის პირველ მეოთხედში საზღვარგარეთიდან, უმეტესად გერმანიიდან, საქართველოში შემოტანილ იქნა გარკვეული რაოდენობის ჰიდრომეტრიული ხელსაწყოები, რომლებიც, როგორც წესი, გარკვეულ დროში საჭიროებდა შეკეთებას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1916-1917 წლებში ლისის ტბაზე, წყალში დასობილ ხიმინჯებზე, მოწყობილ იქნა ფიცრის ესტაკადა და პრიმიტიული ზომავსების სადგური. მენშევიკების ბატონობის პერიოდში სადგური გაძარცულ და შედევრად აღადგინებულ იქნა.

1924-1926 წლებში საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ჰიდრომეტრიული და საირიგაციო სამუშაოების გაშლასთან დაკავშირებით მწვავედ დაისვა საკითხი ისეთი სახელისნოს შექმნისა, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოტანილ ხელსაწყოებს პერიოდულად შეაკეთებდა და შემოწმებდა.

ძირითადი ობიექტი იყო ზომავსების აუზი სიგრძით 80, სიღრმით 2,2 და სიგანით 2,4 მ. ეს აუზი, რომელიც ცოტა უფრო მოგვიანებით აღჭურვილ იქნა საჭირო მოწყობილობით, დღესაც საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. აქ შეიქმნა ბაზა, რომელზედაც აღმოცენდა თანამედროვე თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა.

აღსანიშნავია, რომ ჰიდრომეტრიული ტრიალას პირველი ზომავსება აუზში განხორციელდა 1928 წლის 20 აპრილს, რაც, ალბათ, უნდა ჩათვალოს ქარხნის დაბადების დღედ. 1928 წლის განმავლობაში აუზში განხორციელდა 32 ტრიალას და 27 ბატომეტრ-ტაქომეტრის ზომავსება, ამავე წელს დაშალდა 171 ცალი ჩიპოლუტის წყალსაში ფარი თავისივე ლარტყებით და ორი ცალი გადასატანი ლომიგრაფი — წყლის დონის საზომი ხელსაწყო.


1929 წლიდან პირველ ხუთწლედთან დაკავშირებით ჰიდრომეტრიული მშენებლობათა ტემპებმა იმატა.



ნახ. 1

1933 წლის ბოლოსათვის საგრძნობლად გაიზარდა სახელისნო და ათვისებული ხელსაწყოების რიცხვიც. 1933 წელს სახელისნო ქარხანად გადაკეთდა.

დღემდე ქარხანას ათვისებული აქვს 250-მდე რთული ჰიდრომეტრიული, აეროლოგიური, მეტეოროლოგიური, აქტინომეტრიული, გეოდეზიური და აგრომეტეოროლოგიური ხელსაწყო. ამჟამად ქარხანა ამზადებს 43 სახელწოდების ხელსაწყოს, ამთგან 22 საექსპორტო.



ნახ. 2

ქარხანა სისტემატურად მონაწილეობს ბევრ საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაში. 1961 წელს იგი მონაწილეობას მიიღებს: ნიუ-დელის (ინდოეთი), გეტებორგის (შვეიცია), ჩიკაგოს (აშშ), უტრეხტის (ჰოლანდია), იზმირის (თურქეთი), სალონიკის (საბერძნეთი) და ტოკიოს (იაპონია) გამოფენებსა და ბაზრობებში, სადაც ექსპონირებული იქნება ავტინომეტრები, პირანომეტრები, გალვანომეტრები, ალბედომეტრები და ორი ტიპის ჰიდრომეტრიული ტრიალები.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღრიცხულია 780 ათასი დიდი და მცირე მდინარე. მათი საერთო სიგრძე 5,1 მლნ კმ-ს უდრის. მსოფლიოს 16 უდიდესი მდინარიდან 5 საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიედინება. ესენია: ენისეი, ლენა, ობი, ამური და ვოლგა. ჩვენში 25 ათასზე მეტი ტბაა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის.

წყალი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელიც საჭიროებს აღრიცხვას, შესწავლას და რაციონალურ გამოყენებას. თუ წინათ მეფის რუსეთში წყლის რესურსების გამოყენება მხოლოდ ნაოსნობისათვის და ისიც მცირე მასშტაბით ხდებოდა, ამჟამად ჩვენში მისი გამოყენება ხდება კომპლექსურად.

ავაგათ მდინარეზე მძლავრი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ე. ი. დაუმორჩილოთ მდინარე ადამიანის ნებას, ანუ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, დიდი და რთული საქმეა. იგი მოითხოვს ხანგრძლივ და რთულ გამოკვლევებს. ასეთი ნაგებობის აგება და მათი შემდგომი ექსპლოატაცია მოითხოვს, რომ პროექტები ითვალისწინებდეს ყველა ფაქტორს, რომლებიც შემდეგში გავლენას იქონიებს ჰიდროტექნიკური ნაგებობის მუშაობაზე.



საბჭოთა ჰიდროლოგია მოწოდებულია უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სრულყოფილი ცნობებით წყლის შესახებ.

ჰიდროლოგიის ნაწილია ჰიდრომეტრია, რომელიც წყლის აღრიცხვა-გაზომვას აწარმოებს. სანამ ადამიანები ვოლგაზე, ანგარაზე, ენისეიზე, დუნაზე, მტეჯარზე, რიონსა და სხვა მდინარეებზე გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების ან წყალსაცავების მშენებლობას შეუდგებოდნენ, საბჭოთა ჰიდროლოგები, ძირითადად თბილისში და მზადდებული ხელსაწყოებით შეიარაღებულნი, დიდი ხნით აღრე აწარმოებდნენ გამოსაყენებელი წყლის ობიექტების ჰიდროლოგიურ შესწავლას.

ასეთი გამოკვლევები, როგორც წესი, წინ უსწრებს მშენებლობის დაწყებას, მაგრამ ეს შესწავლა აუცილებელია მშენებლობის პროცესში და მშენებლობის დამთავრების შემდეგაც, ექსპლოატაციის დროს.


ცნობები წყლის რესურსების შესახებ მით უფრო სრული და საიმედო იქნება, რაც უფრო კონსტრუქციულად სრულყოფილი და დამზადების თვალსაზრისით მაღალხარისხოვანია ის ხელსაწყოები, რომლებითაც ამ ცნობებს ადგენენ.

ამ მოთხოვნილებებს კარგად ამაყოფილებს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მიერ დამზადებული ხელსაწყოები.


ჰიდრომეტრიული ტრიალები, ღია წყალსადენებში დინების სიჩქარისა და წყლის ხარჯის განსაზღვრა ჰიდრომეტრიულ გამოკვლევათა ძირითად ამოცანას შეადგენს, ხოლო ხელსაწყო, რომლითაც ხდება ამ ელემენტების განსაზღვრა, ჰიდრომეტრიული ტრიალაა. ამჟამად ხმარებაშია ბევრი სხვადასხვა კონსტრუქციის ტრიალა, მათ შორის ექვსი ტიპისა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა წინა წლებში ამზადებდა.

დღეისათვის ქარხანა ამზადებს 3 ტიპის ტრიალას, ესენია: Ж-3, МЖ-3 და უკანასკნელ პერიოდში ათეულებული მცირეგაბარიტაანი ББ-52 ტრიალა.

Ж-3 ტრიალა (ნახ. 1) ძირითადად შედგება კორპუსისა და მბრუნავი სპირალური ფრთისაგან, რომელიც ბრუნავს კორპუსში დამაგრებული უძრავი ღერძის ირ-



ნახ. 3



ნახ. 4

გვლივ. თუ ტრიალს გამძინარე წყალში ჩავეშვებთ, სპირალური ფრთა წყლის მოქმედების შედეგად ბრუნვას დაიწყებს. ბრუნვის რაოდენობა მით უფრო მეტი იქნება, რაც მეტია დინების სიჩქარე. ამ დამოკიდებულების განსაზღვრა ხდება ქარხანაში ზომავსების გზით სპეციალურ აუზში, რომლის სიგრძე 80 მ-ია. იგი აღჭურვილია ელექტროძრავითა და ქრონოგრაფით.

მე-2 ნახ-ზე ნაჩვენებია ზომავსების სადგურის საერთო ხედი.


ტრიალს ფრთის სიღრმეში არის სპეციალური საკონტაქტო მიწყობილობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვრიცხოთ წყალში ჩაშვებული ტრიალს ბრუნთა რიცხვი. 20 ბრუნვას შეესაბამება ერთი კონტაქტი. თუ დავთვლით კონტაქტების რიცხვს, აგრეთვე დადგენილი გვექნება ტრიალს გრაფიკი, შედგენილი ზომავსების გზით, ადვილად გავიგებთ მდინარის დინების სიჩქარეს. თუ ვიცით დინების საშუალო სიჩქარე, გავზომავთ მდინარის ცოცხალ კევის და გავიგებთ წყლის ხარჯს დროის ერთეულში (კუბურ მ-ებში).

ЖК-3 ტრიალს ბევრი უპირატესობა აქვს გერმანულ და ამერიკულ ტრიალებთან შედარებით. უკანასკნელ პერიოდში ЖК-3 ტრიალს მოდერნიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი საექსპლუატაციო თვისებები. 1960 წელს ქარხანაში ЖК-3-ის პარალელურად მზადდებოდა მოდერნიზებული МЖК-3 ტრიალი. 1961 წლიდან ამ ორი ტიპის ნაცვლად ქარხანა გამოუშვებს მხოლოდ МЖК-3-ს.


1959 წელს ქარხნის მიერ ათვისებულ იქნა და 1960 წლიდან სერაულად გამოდის ახალი ტიპის მცირე გაბარიტიანი უნივერსალური ББ-52 ტრიალი. იგი შექმნილია ლენინგრადის სახელმწიფო ჰიდროლოგიურ ინსტიტუტში. ბურცევის მიერ და აქვს ბევრი განმასხვავებელი უპირატესობანი: მცირე გაბარიტის გამო იგი საშუალებას იძლევა გავზომოთ დინებები, დაწყებული 7 სმ სიღრმიდან.

თუ ЖК-3 და МЖК-3 ტიპის ტრიალებში ბრუნვითა და დინების ათეულ ხდება წამმზომით სწრაფად, მაშასადამისა საფუძველზე, ББ-52 ტრიალი უმჯობესია მთელსაქართველოში მექანიზმით, რომელიც შედგება წამმზომისა და ელექტროსაიმპულსე მრიცხველისაგან. წამმზომის დანიშნულებაა წინასწარ მოცემული დროის, მაგალითად 100 წამის, შემდეგ ავტომატურად გამოართოს მრიცხველი, ელექტროსაიმპულსე მრიცხველის დანიშნულებას კი შეადგენს შეაჯამის სიგანეები, რომლებსაც გადასცემს ტრიალს საკონტაქტო მექანიზმი. აღნიშნული სიახლე, გამოირიცხავს სუბიექტურ შეცდომებს, რომლებსაც ხშირად ადგილი აქვს დავირეგების დროს პირველი ორი ტიპის ტრიალით.

უკანასკნელ პერიოდში ქარხნის ნოვატორი მუშების შ. ხუციშვილისა და ნ. არინინის მიერ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დახმარებით დამუშავებულ იქნა ახალი კონსტრუქციის ტრიალი. სამე ისაა, რომ ზემოთ აღნიშნულ სერიულ ტრიალებს აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაკლი — ტრიალს დაშლისა და ახლად აწყობის შემდეგ ირღვევა ტრიალს ბალანსირება, რაც გავლენას ახდენს ზომავსების მონაცემებზე. ეს იგრძნობა განსაკუთრებით დინების მცირე სიჩქარეების



ნახ. 5



ნახ. 6

დროს. ხანგრძლივი ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩენილ იქნა ამ მოვლენის მიზეზი. კონსტრუქციაში სამი მბრუნავი დეტალი, რომლებიც იწვევდა დისბალანსს, შეცვლილ იქნა ერთი სპეციალური დეტალით. ამ სიახლემ სხვა ცვლილებებთან ერთად პრინციპულად ახლებურად გააღწევინა მეტად რთული პრობლემა. ამჟამად ხეცივილისა და არინინის კონსტრუქციის ტრიალები ლენინგრადში ლაბორატორიული შემოწმებისა და მოწონების შემდეგ საველ-საექსპლუატაციო გამოცდას გადის კიევში, ტაშენტში, როსტოვსა და კიშინევიში. იმედია, რომ იგი მალე დაინერგება წარმოებაში.

ბატომეტრები. ბატომეტრების საშუალებით ხდება წყლის სიწვის ალბა მდინარეებისა და წყალსაცავების სხვადასხვა სიღრმეიდან შეიტვიტებული და მდინარის ფსკერზე მცოცავ-მგორავი ნატანის რაოდენობის, აგრეთვე წყლის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრისათვის.

სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი — ჰიდროენერგეტიკა, ირიგაცია, წყლის ტრანსპორტი და სხვ. საჭიროებს ცნობებს ნატანის შესახებ, რადგან მხოლოდ მისი რაოდენობის ცოდნის საფუძველზე შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მავალითად, წყალსაცავების ნატანით ამოვსება, როგორც ამას ზოგჯერ ადგილი აქვს პრაქტიკაში. მაგალითად, ზაპეის წყალსაცავი, რომლის საპროექტო მოცულობა 12.10⁶ მ³-ს უდრიდა, არსებობის 6 წლის შემდეგ დასილის შედეგად 60%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მტკვარს ყოველწლიურად კასპიის ზღვაში ჩაჟვს 18 მლნ ტ ნატანი.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნაგებობის ექსპლოატაციისათვის წყლის ქიმიური შედგენილობის ცოდნას. ამ ფაქტორის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი მატერიალური ზარალი, ზოგჯერ ძვირფასი ჰიდრო-

ტურბინების მწყობრიდან ვადაზე ადრე გამოსვლა. კი. ამჟამად ქარხანა ამზადებს ოთხი ტიპის ბატომეტრს: მე-3 ნახ.ზე ნაჩვენებია სამდინარო ბატომეტრი, რომელიც ვაკუუმის პრინციპზე მოქმედებს.

მეისი მოქმედების სერიული საზღვაო ბატომეტრი საშუალებას იძლევა სიღრმეზე (პრაქტიკულად ყველა შესაძლო სიღრმეზე) ზღვებიდან და ოკეანეებიდან ამოვიღოთ წყლის სიწვი მისი მექანიკური და ქიმიური შედგენილობის შესასწავლად, აგრეთვე ბატომეტრზე მოწყობილი წყვილი ყრავიშვები თერმომეტრების საშუალებით გავზომოთ წყლის ტემპერატურა ყველა საჭირო წერტილში.

აქტიომეტრიული ხელსაწყოები. ცნობილია, რომ ტემპერატურა მზის ზედაპირზე უდრის დაახლოებით 6000°-ს, ხოლო მის შუაგულში 20 მლნ გრადუსს აღემატება. სითბოს ნაკადი, რომელიც მიიღება უშუალოდ მზის სხივებიდან, იწოდება მზის პირდაპირ რადიაციად. მისი ინტენსივობა ზაფხულის შუაღდას საქართველოში უდრის საათში 1 კვ მე-ზე 800 კკალ-ს.

მზის ეს უდიდესი ენერგია აღამიანის მიერ სრულიად გამოუყენებელია. ამ ენერგიის შესწავლა და გამოყენება ახლო მომავლის საქმეა. აქტიომეტრიული ხელსაწყოები, რომლებსაც ქარხანა ამზადებს, მზის რადიაციის ინტენსივობის საზომი ხელსაწყოებია. აქტიომეტრი (ნახ. 4) იხმარება მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსივობის საზომად.

მზის პირდაპირი რადიაციის გარდა, დედამიწა დეზულობს სხივად სითბოს, ე. წ. გაბნეულ რადიაციას. გაბნეული რადიაციის ინტენსივობის გასაზომად, რაც დაახლოებით 10-ჯერ სუსტია, ვიდრე მზის პირდაპირი რადიაცია. იხმარება პირაქტიომეტრი (ნახ. 5), რომელიც აგრეთვე ქარხანაში მზადდება.

რადიაციის ნაწილი, რომელიც დედამიწაზე მოდის, ჩაინთქება საგნების მიერ, ხოლო ნაწილი აირეკლება. არეკლილი რადიაციის შეფარდებას მიეღ რადიაციასთან ეწოდება ალბედო. ალბედოს სიდიდის გასაზომად ქარხანა ამზადებს ორი ტიპის ალბედომეტრს. ერთმა ჩამოთვლილ —სალაშქრო ალბედომეტრმა (ნახ. 6) ლიბიკის გამოფენაზე მიიღ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აკადემიის დიპლომი. ჩამოთვლილი აქტიომეტრიული ხელსაწყოების მოქმედება დამყარებულია მზის თბური ენერგიის თერმოელექტრულ დენად გარდაქმნაზე. ამ დენის რეგისტრაციისათვის საჭიროა გალვანომეტრი, რომელსაც ქარხანა ამზადებს.

უახლოეს წლებში ქარხანამ უნდა აითვისოს ბევრი რთული დისტანციური და თვითამწერი ხელსაწყო, მთელსავე რეგულაციისა და ელექტრონიკის უიანსკენი მიღწევების გამოყენებით.



დროის პარადოქსები



პარადოქსი 2. შირაკი

ასპირატი 3. ბრძოლაში

ჩვენი საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი იყო დროის ახალი თვისებები, რომლებიც თავისი პარადოქსულობით გვაკვირებს.

პარადოქსს უწოდებენ იმას, რაც უცნაურად და მოულოდნელად გვეჩვენება, მაგრამ იგი შეიძლება იყოს როგორც ქეშმარიტი, ისევე ყალბი. დროის თვისებების მხრივ ეს სიტყვა მისი პირველი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

დროის ახალი თვისებები ძირითადად შემდეგში მდგომარეობს. მატერიალურ სხეულში ამ სხეულთა სისტემაში დროის მსვლელობის სიჩქარე ამ სხეულთა მოძრაობის სიჩქარეზე დამოკიდებული. მოძრავ სხეულებში უძრავ სხეულებთან შედარებით მატერიალური პროცესები უფრო ნელა მიმდინარეობს.

დიდი მიზიდულობის ველის მქონე მასიურ სხეულების მახლობლად (მაგალითად, მზე) მატერიალური პროცესები უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე იგივე პროცესები მცირე მასის სხეულებთან (მაგალითად, დედამიწა).

ორი მცირე ხანგრძლიობის პროცესი, მაგალითად, სინათლის ანთება, რომელიც სხვადასხვა ადგილას წარმოებს და სხეულთა მოძრავ სისტემაში ერთდროულია, უძრავ სისტემაში დროის სხვადასხვა მომენტში მოხდება.

პირველი დებულების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ დროის მსვლელობა მომავლის კოსმოსურ ხომალდში, რომელიც თავისი გზის უმთავრეს ნაწილს სინათლის სიხის სიჩქარის მახლობელი სიჩქარით გაივლის. აღვნიშნოთ, რომ მოძრავ სხეულებში დრო შენე-

დება იმდენჯერ, რამდენჯერაც $\sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}}$ ნაკლებია ერთზე (აქ v მოძრავი სხეულის სიჩქარეა, ხოლო c — სინათლის გავრცელების სიჩქარე სივრცეებში. $c = 300000$ კმ/წმ).

აქედან ჩანს, იმისათვის, რომ მოძრავ სხეულებში შესაძინებელი იყოს დროის შენელება, აუცილებელია v სიჩქარის მნიშვნელობა სინათლის სიჩქარის მახლობლობაში იყოს. ასე, მაგალითად, თუ კოსმოსური ხომალდის სიჩქარე არის 0,99995 c , მაშინ მარტივი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ კოსმოსურ ხომალდში დრო 100-ჯერ უფრო ნელა გაივლის. ასეთი კოსმოსური ხომალდი ჩვენგან ერთ-ერთ უახლოეს ვევა ვარსკვლავამდე მოგზაურობას და უკან დაბრუნებას დაახლოებით 54 წელს მოაწოდებებს დედამიწის დროით. მაგრამ, რადგან თვით კოსმოსურ ხომალდში დრო 100-ჯერ ნელა მიმდინარეობს, ამიტომ ასეთი მოგზაურობის ხანგრძლიობა თვით


ხომალდში მოთავსებული საათის მიხედვით 100-ჯერ მოკლე იქნება და ნახევარ წელზე ცოტა მეტს გასტანს.

როგორ გავიგოთ დროის უფრო ნელი მსვლელობა დედამიწაზე დროის მსვლელობასთან შედარებით?

ყველასათვის ცნობილია, რომ დრო სათვით იზომება. მაგრამ რა არის საათი. პრინციპში იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხეული, რომელშიც რაიმე პერიოდული პროცესი მიმდინარეობს. მაგალითად, პირველყოფილი ადამიანისათვის საათს წარმოადგენდა მთვარე და მზე, რომელთა ცის თაღზე პერიოდული მოძრაობა საშუალებას აძლევდა ადამიანს გაეზომა დრო. სწორედ აქედან წარმოიშვა დროის ერთეულები: დღე-ღამე, თვე, წელიწადი. ქანქარიან საათში პერიოდულ პროცესს ქანქარის რხევა წარმოადგენს, ხოლო ზამბარიან საათში — ბალანსირის (ზამბარიანი თვალაკის) რხევა.

ზემოთქმული საშუალებას იძლევა კოსმოსური ხომალდის მაგალითზე ავსნით მოძრავ სხეულებში დროის შენელება. ეს შენელება იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ სრულიად ერთნაირი კონსტრუქციის საათები დედამიწაზე და კოსმოსურ ხომალდში სხვადასხვანაირად მუშაობს. ხომალდის საათი სტარტის მომენტრიდან დედამიწაზე დაბრუნებამდე მოგზაურობის დროს 100-ჯერ ნაკლებს აჩვენებს, ვიდრე დედამიწაზე მყოფი საათი.

მაგრამ, საზოგადოდ, საათი შეიძლება ცოცხალი ორგანიზმი იყოს. ადამიანის გული შეიძლება მივამსგავსოთ ქანქარის ან საათის ბალანსირს. კოსმოსური ხომალდის საათის მიერ ნაჩვენები დროის შენელებას ადგილი აქვს ყველა სხვა სხეულში, რომლებიც ხომალდზე იმყოფებიან, მათ შორის თვით მოგზაურთა ორგანიზმშიც. ამიტომ კოსმოსური ხომალდის მგზავრის გული ძვერათა ნაკლებ რიტმს განიცდის, ვიდრე დედამიწაზე მცხოვრებლის, ორივე ორგანიზმის ერთნაირი ბიოლოგიური მონაცემების დროს.



ნახ. 1. დროის ხანგრძლიობა დამოკიდებულია სხეულის სიჩქარეზე. რაც უფრო სწრაფად მოძრაობს უზმარა, მით უფრო გრძელა მასში წამი. აღვნიშნოთ, რომელიც რაკეტით კოსმოსში გაემგზავრება სინათლის მახლობელი სიჩქარით, გაცილებით ახალგაზრდად დარჩება თავის ტოლებზე, რომლებიც მან დედამიწაზე დატოვა



ზემოთქმულის თანახმად ადგილი აქვს შემდეგ მოვლენას, რომელიც სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენება. დავუშვათ კოსმოსური ხომალდის ერთ-ერთი მგზავრი სტარტის მომენტში 30 წლისაა. ჩვენს მაგალითში ხომალდის მოგზაურობა ვეგა ვარსკვლავამდე და უკან დედამიწის საათის მიხედვით დაახლოებით 54 წელს გრძელდება, ხომალდის საათით კი — მხოლოდ ნახევარი წელი. თუ მეზარეულს დედამიწიდან გაფრენისას ახალ დაბადებული ვაჟიშვილი დატოვა, მაშინ მისი დაბრუნებისას ვაჟს 54 წელი შეუტრუფლებდა, ხოლო თვით ოცდაათნახევარი წლის იქნება.

რატომ ვერ ვამჩნევ ჩვეულებრივ ცხოვრებაში დროის პარადოქსებს? იმიტომ, რომ დროის შენელება მოძრაე მიწიერ სხეულებში მცირეა სინათლის სიჩქარესთან შედარებით, მათი მოძრაობის სიჩქარის სიმცირის გამო. მართლაც, 3 კმ/წმ. რიგის სიჩქარეების დროს, რაც მნიშვნელოვანია ჩვეულებრივ პირობებში, მოძრაე სხეულებში მიმდინარე პროცესები მათი ხანგრძლიობის მხოლოდ ნახევარი მეათედმეოლიად ნაწილთა შემცირდება. ცხადია, ამის აღმოჩენა ყველაზე უსუსტი ხელსაწყოებითაც კი შეუძლებელია. ბუნებრივია, რომ ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში და ტექნიკურ პროცესებში ვერ ამჩნევს მოძრაე სხეულებში დროის შენელებას, იგი შეჩვეულია ნელ ფარდობით მოძრაობებს და ვერ შეეჩვია ჩქარ პროცესებს. ამიტომ დროის ერთისა და იმავე ერთეულების გაზანგძრობების შესაძლებლობა მას უცნაურად და არაჩვეულებრივად წარმოუდგენია.

როგო დედამიწა ჩაქატას ეძემა...

ხომ არ არის წინააღმდეგობა სხვა თვალსაზრისით იმ მაგალითში, როცა კოსმონავტი საკუთარ შვილს ჩამორჩა წლოვანებაში? — შეიძლება შეგვიკითხოთ დაფიქრებული ჰქონდეს. ფიზიკაში არსებობს ფარდობითობის პრინციპი, რომლის თანახმადაც თანაბრად და სწორხაზოვნად მოძრაე ნებისმიერი სხეული შეიძლება უძრავად ჩავთვალოთ, ხოლო ის სხეული, რომელსაც ჩვენ უძრავად ვთვლიდით, განვიხილოთ როგორც სწორხაზოვნად და თანაბრად მოძრაე. ვისარგებლოთ ამ პრინციპით და ჩავთვალოთ კოსმოსური ხომალდი უძრავად, ხოლო დედამიწა კი მოძრაად მის მიმართ. ამ შემთხვევაში უკვე პროცესების შენელება დაიკვირვება არა ხომალდში, არამედ დედამიწაზე. მაშასადამე, შვილი უფრო ნელა გაიზარდება და იგი კი არ გაუსწრებს მამას ხნოვანებაში, არამედ კიდევ უფრო ჩამორჩება მას. რომელი სურათია მართალი — პირველი თუ უკანასკნელი. ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ ასე:

ორივე სურათი სწორია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოსმოსური ხომალდის და დედამიწის ერთმანეთს მიმართ ურთიერთმოძრაობა თანაბარი და სწორხაზოვანი რჩება. მაგრამ არის თუ არა ასეთი ეს მოძრაობა? არა. მართლაც, დედამიწიდან სტარტის დროს ხომალდი აჩქარებულად მოძრაობდა, ხოლო ვეგა ვარსკვლავის

მახლობლად დედამიწაზე დასაბრუნებლად მას უნდა დაამუხრუჭონ თავისი ხომალდი მისი სიჩქარის ჩვენს სინათლის მიმართულებით და შემდეგ კვლავ აჩქარონ სინათლის სიჩქარის მახლობლად სიჩქარემდე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ხომალდი ბრუნდება ვეგას მახლობლად, გარკვეული დროის განმავლობაში მისი მოძრაობა არც თანაბარი და არც სწორხაზოვანი არ იყო. კოსმოსური ხომალდის მოძრაობას თან სდევდა აჩქარება (შენელება ითვლება უარყოფით აჩქარებად). მაგრამ მექანიკიდან ცნობილია, რომ აჩქარებულად მოძრაე სხეულებში განსაკუთრებული — ინერციული ძალები მოქმედებს. მათი სიდიდეს არჩაგრებისა და სხეულის მასის პროპორციულია. ამ ძალების მოქმედება ალბათ ყველა გამოუცდია მატარებლის, ავტომანქანის, ლიფტის მკვეთრი შეჩერების ან მოძრაობის სწრაფად დაწყებისას.

სივრცისა და დროის შესახებ თანამედროვე მოძღვრების, ე. წ. ფარდობითობის ზოგადი თეორიის, თანახმად კი ინერციული ძალები მიზიდულობის ძალების იგივეებია.

ჩვენ შეგვიძლია ვეგაზე გაფრენილი მგზავრებიანი რაკეტა განვიხილოთ უძრავად, მაგრამ ფარდობითობის პრინციპის შესაბამისად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რაკეტის მოძრუნების დროს დედამიწა აჩქარებულად ეცემა მას ინერციული ძალების ველის ან, რაც იგივეა, მიზიდულობის ველის მოქმედების შედეგად.

ყოველივე ამის მხედველობაში მიღებით ჩვენ ვალდებული ვართ აღვნიშნოთ, რომ „ვარდნილ“ დედამიწაზე რაკეტასთან შედარებით პროცესები ძალიან აჩქარებული იქნება. შემდეგ, როცა რაკეტა მოხვდება სწორხაზოვანი და თანაბარი მოძრაობის მდგომარეობაში, ე. ი. იმობალიზირებ აჩქარების გარეშე, პროცესები დედამიწაზე კვლავ შენელებდა კოსმოსურ ხომალდში პროცესებთან შედარებით. მაგრამ, როგორც განავარიშება გვიჩვენებს, უკვე არაფერს შეუძლია აანაზღაუროს ის დაგვიანება, რომელიც მოხდა რაკეტაზე დედამიწისავე მისი მობრუნების შედარებით მცირე დროის განმავლობაში.

უსუსტი განავარიშებანი გვიჩვენებს, რომ შედგა იქნება ისეთივე, როგორც იმ შემთხვევაში, თუ დედამიწას უძრავად განვიხილოთ, ხოლო რაკეტას — სინათლის მახლობელ სიჩქარით თანაბრად და სწორხაზოვნად მოძრაეს. ჩვენ მიერ ზევით გამოთვლილი დროის 100-ჯერ შენელება რაკეტაში უძრავ დედამიწაზე დროის მსგავსებასთან შედარებით ისეთივე იქნება, თუ ჩავთვლით პირიქით, რომ რაკეტა უძრავია, ხოლო დედამიწა მოძრაობს.

აკამრტდროული პრტდროულობა

მიემართოთ ახლა ერთდროულობის ფარდობითობის დებულებას. ეს დებულება მჭიდროდა დაკავშირებული სინათლის სიჩქარის მუდმივობის ექსპერიმენტულად დადგენილ ფაქტთან ათვლის ყველა ინერციულ სისტემა-



ში, ე. ი. ათვის სისტემაში, რომელიც დაკავშირებულია თანაბრად და სწორხაზოვნად მოძრავე სხეულთან. ათვლის ასეთი სისტემა დიდი მახლობლობით არის ჩვენი დედამიწა, რომელიც მზის მიმართ 30 კმ/წმ. სიჩქარით მოძრაობს. ამერიკელი ფიზიკოსის ა. მაიკელსონის ცნობილი ცდებმა ინტერფერომეტრზე ცხადყო სინათლის სიჩქარის ერთნაირობა ნებისმიერი მიმართულებით დედამიწის მოძრაობის მიმართულებასთან შედარებით. ამრიგად, დედამიწის მოძრაობა მის ორბიტაზე, რომელიც შეიძლება დაახლოებით ინერციულად ჩავთვალოთ, გავლენას არ ახდენს დედამიწაზე სინათლის გავრცელების სიჩქარეზე. ამ დარწმუნებით დადგენილ ექსპერიმენტულ ფაქტს მივეყვართ დროისა და განსაკუთრებით მოვლენების ერთდროულობის შესახებ ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენების მეტად რადიკალური ცვლილებებისაკენ.

ზემოთქმულს ერთ მარტივ, კონკრეტულ მაგალითზე ავსენით. დავუშვათ მატარებელ თანაბრად და სწორხაზოვნად მოძრაობს ბაქანის ვასკულარზე. დროის რომელიმე მომენტში მატარებლის შუა წერტილიდან გაიგზავნება სინათლის სიგნალი, რომელიც მის თავსა და ბოლოს აღწევს. ამასთან, იგი ფოტოელემენტის საშუალებით ანთებს იქ მოთავსებულ ნათურებს. რადგან სინათლის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებული არაა მატარებლის მოძრაობაზე, ამიტომ ორივე ნათურა ერთდროულად აინთება. მაგრამ ასე არ იქნება ბაქანზე. „უძრავი ბაქანი“ სისტემაში იგივე ნათურები დროის სხვადასხვა მომენტში აინთება. მართლაც, როცა სინათლის სიგნალი მატარებლის ბოლოში მოთავსებულ ფოტოელემენტს მიაღწევს, მატარებლის ბოლო სინათლის სიგნალს გავრცელების დროის განმავლობაში გადაინაცვლებს გარკვეულ მანძილზე. უძრავი ბაქნიდან დაკვირვებისას ჯერ აინთება მატარებლის უკანა ნათურა. მატარებლის თავი ამ მომენტში მერ მანძილზე იქნება, ამიტომ წინა ნათურა ცოტა მოვიანებოთ აინთება.

ცხადია, მკითხველისათვის გასაგებია, რომ ეს მაგალითი წმინდა წარმოდგენითია. სინათლის სიჩქარესთან შედარებით მატარებლის მცირე სიჩქარის გამო ნათურების ანთების ერთდროულობის ფარდობითობის ამოიჩენა ზუსტი გაზომვების შესაძლებლობის თანამედროვე დონეზე შეუძლებელია.

პრაქტიკა ადამიანებს თეორიას

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ზომ არ ჩატარებულა რაიმე ცდები ან დაკვირვებები, რომლებშიაც დროის ეს პარადოქსები ნათლად ჩანს? თურმე არსებობს მოძრაობისაგან და მზიდულობის ეფლისაგან დროითი ხანგრძლიობის დამოკიდებულების მდგომარეობის სისწორის უშუალო დამტკიცება ცდებით.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საათის როლში ნებისმიერი სხეული გამოდგება, რომელშიაც პერიოდული პროცესი წარმოებს. დრო იზომება ციკლების რიცხვით, ცნობილია, რომ ატომებში წარმოებს გარკვეული პერიოდული

ელექტრომაგნიტური პროცესები, რომელთა პერიოდული სიხშირის სინათლის ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივებას განსაზღვრავს. ასე რომ, ატომიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული სახის საათი. გავზომავთ რა სპეციალური ზელსაწყობით — სპეციალურ საათებში — გამოსხივებული სინათლის სიხშირეს უძრავი ატომიდან და ატომიდან, რომელიც დაკვირვების ხაზის მართობულად მოძრაობს, ჩვენ ამით შევადარებთ მოძრაობა და უძრავი საათის ჩვენებებს. ეს კი საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ დროის შენელების სიდიდე, გამოწვეული სხეულის მოძრაობით, რაზედაც ლაზარაჟი იყო კოსმოსური ზომადლის მავალიზმი.

ასეთი სახის ცდები სინამდვილეში ჩატარებული იყო წყალბადის ატომებზე და მათ დადასტურეს მოძრავე სხეულში დროის შენელება $\sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}}$ - ჯერ.

დროის შენელების სხვა დამტკიცებას წარმოადგენს ცდა, სადაც ზღვა ელემენტარული ნაწილაკების μ -მეზონების „სიცოცხლის“ ხანგრძლიობის განსაზღვრა. ამ ნაწილაკებს შეუძლიათ სინათლის სიჩქარის მახლობელი სიჩქარით მოძრაობა. მცირე სიჩქარეებით მოძრაობისას ეს ნაწილაკები არსებობს წამის ერთ მილიონედელ ნაწილის განმავლობაში, ხოლო შემდეგ იშლება სამ ნაწილაკად: ელექტრონად და ორ ნეიტრინოდ.

სპეციალურ ზელსაწყობი — ვილსონის კამერაში μ -მეზონები ქმნის კვლეებს, რომელთა სიგრძისა და მანერტუ ველში სიმრუდის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მათი სიცოცხლის ხანგრძლიობა. დადგენილ იქნა, რომ ჩქარ μ -მეზონებს ნელ მეზონებთან შედარებით მეტი სიცოცხლის ხანგრძლიობა აქვს, რაც ფარდობითობის თეორიის მიერ მოცემულ დროის შენელების ფორმულას ეთანადება.

გავიხსენოთ ჩვენი მამა-შვილის მაგალითი. შვილის ანალოგიურად გაჩერებული μ -მეზონი „დაბერდება“ და შეწყვეტს არსებობას იმ დროს, როცა მოძრავე მეზონი კიდევ იცოცხლებს.

დროის შენელება მზიდულობის მძლავრ ეფელში უნდა გამოვსახავდეს იმით, რომ მზის ან ვარსკვლავების ზედაპირზე მყოფი ატომები დედამიწაზე მყოფ იგივე ნივთიერების ატომებთან შედარებით გამოსხივებს ნაკლები სიხშირის სინათლეს. ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთნაირ ატომურ საათს მზეზე და დედამიწაზე სხვადასხვა სვლა ექნება: მზითური ან ვარსკვლავური ატომური საათი იმუშავებს უფრო ნელა, ვიდრე დედამიწის ატომური საათი. ეს გამოვლენადება მზეზე ან ვარსკვლავზე მოცემული ატომის სპექტრალური ხაზების სპექტრის წითელი ბოლოსაკენ წანაცვლებაში დედამიწაზე ასეთივე ატომის შესაბამის ხაზებთან შედარებით. ამ ეფექტს „გრავეიტაციული წითელი წანაცვლება“ ეწოდება.

წითელი წანაცვლების სიდიდე მზეზე ატომებისათვის სპექტრალური ცვლილებების გაზომვის სიზუსტის საზღვარზეა. მაგრამ ამ წითელი წანაცვლების დაკვირვება

შესაძლებელი გახდა სირიუსის ერთ-ერთ თანამგზავრზე მისი დიდი სიმკვრივის გამო, რაც მის ზედაპირზე მიზიდულობის მძლავრ ველს აბიოტებს.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვებასთან და კოსმოსის დაწვავასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: ხომ არ შეიძლება უკვე ამჟამად ან უახლოეს დროში აღმოვაჩინოთ რელატივისტური, ე. ი. ფარდობითობის, თეორიიდან გამომდინარე დროის შემცირება, რომელიც განპირობებული იქნება თანამგზავრებისა და რაკეტების კოსმოსური სიჩქარეებით და დედამიწიდან დაშორებისა მიზიდულობის ველის შემცირებით? მიზიდულობის ველის შემცირებამ უნდა მოკცეს დროის შეუღლების შემცირება, ე. ი. ის, რომ საათი თანამგზავრზე უფრო ჩქარა იმუშაებს, ვიდრე დედამიწაზე. პრაქტიკულად ეს შედარდება სპეციალური ხაზების იისფერი არესალე წანაცვლებაში, ე. ი. გამოიწვევს „გრავეიტაციულ იისფერ ცვლილებას“.

შესაძლებელია თუ არა ამის დაკვირვება სინამდვილეში? პასუხისათვის უნდა შევადგათ სისწრაფის გაზომვის ტენიკის შესაძლებლობა. დროის გაზომვის სიზუსტე ატომური საათების საშუალებით ამჟამად ძალიან იზრდება რადიოტენიკისა და რადიოსპექტროსკოპიის გამოყენების წყალობით. ეს მეთოდები უკვე საშუალებას იძლევა გავზომოთ ატომური საათის სისწრაფის ცვლილება, გამოყვეული დედამიწის მიზიდულობის ველის ირტენსიონის ცვლილებით ასეული და ათასეული კილომეტრის სიმაღლეზე, ე. ი. იმ სიმაღლეებზე, რომლებზედაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ორბიტები

მდებარეობს. ასეთი დიდი სიზუსტე ახლოა იმასთან, რამელიც საჭიროა თანამგზავრებისა და რაკეტებზე მათი კოსმოსური სიჩქარეებით მოძრაობის გამჭვირვალე საათის სვლის რელატივისტური შენელების გასაზომად. ამრიგად, ხელოვნური თანამგზავრების და კოსმოსური რაკეტების გაშვებამ მოგვანიჭოვა დროის საშუალებით მოძრაობის სხეულებზე და მიზიდულობის ცვლებებზე დროის რელატივისტური ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი სიძნელეები ჯერ კიდევ დიდია. პირველ ყოვლისა, ეს არის სისწრაფის რელატივისტური ცვლილების დაფარვა ჩვეულებრივი დოპლერის ეფექტით, თანამგზავრის ან კოსმოსური რაკეტის მისი მდებარეობის და დაკვირვების ადგილის შემეარტებელი სწორის გასწვრივ მოძრაობის გამო.

თანამედროვე ფიზიკის მიერ აღმოჩენილი დროის პარადოქსული თვისებები სინამდვილეში არსებობს და მრავალი პირდაპირი და არაპირდაპირი ცდებით მეტიცდება ატომურ ფიზიკასა და ასტრონომიაში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ შესანიშნავი სიტყვები ვ. ი. ლენინის შრომიდან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

„აღამიანის წარმოდგენა სივრცესა და დროზე შეფარდებითი, მაგრამ ამ შეფარდებითს წარმოდგენათაგან იქნება აბსოლუტური ჰეშმარტება, ეს შეფარდებითი წარმოდგენანი ვითარდებიან, აბსოლუტური ჰეშმარტების ხაზით მიდიან, უახლოვდებიან მას“.

სამჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები

უდიდესი ბლუმინგი-ავტომატი

ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში ახლანდარსებული მძიმე მანქანათმშენებელ სამეცნიერო-კვლევითი ინსტრუქტის კონსტრუქტორებმა დაამთავრეს ტექნიკური პროექტის შემუშავება, სილო ქარხანა შეუდგება მზადება ბლუმინგი-ავტომატის გამოცდისათვის, რომელიც ყოველწლიურად ქვეყანას მისცემს რამდენიმე მონტაჟ ნაგლის. მისი წარმოებობა ორჯერ აღემატება იმავდამუშის ამჟამად გამოშვებული საგლინ დანების წარმოებობას.

ამ აგრეგატ-ქარხანას, რომელიც აერთიანებს ათეულ მანქანასა და მექანიზმს, მართავს ერთი კაცი. მის განკარგულებაში იქნება საანგარიშო-ამოსანსელი პროგრამული მოწყობილობა, ავტომატიკის ყველაზე უფრო თანამედროვე საშუალება. ბლუმინგზე ყველა

ტექნოლოგიური ოპერაცია — ზოდების მიწოდებიდან შუა პარადუქციის გამოშვებამდე — ავტომატიზებულია.

პირველი ბლუმინგი-ავტომატი განკუთვნილია მშენებლობაში მუფი დასაყუთ-კომპიონის მეტალურგიული კომპინატისათვის.

ფურცლის უნიკალური დამუშავება

კუბიშევის სახელობის ირეკტის მძიმე მანქანათმშენებელ ქარხანაში მანტიტოორ-სკის მეტალურგიული ქარხნისათვის გამოშვებული ფოლადის ფურცლების დამუშავები. ნიოკრამატოროსკის კონსტრუქტორების პროექტის მიხედვით შექმნილი ფურცლის დამუშავები მომსახურება ვერობაში უდიდეს საგლინ დანას „2500“. მანქანა შლის და აწყობს ერთნახევრიდან 6 მ-მდე სისქისა და 1-დან 1,35 მ-მდე სიგანის ფურცლებს.

ირეკტის ქარხნის კოლექტივი ემზადება კიდევ რამდენიმე დიდი მექანიზმის გამოშვებისათვის. შემუშავებული და დამტკიცებულია სამჭოთა კავშირში პირველი კარუსელური-რეგულირებადი საჩამოსხმე მანქანის პროექტის სილოების ანოდებისათვის, რომელიც პროდუქს მთლიანად ავტომატიზირებს. 7-8 კაცის ნაცვლად, რომლებიც ახლა ემზადებიან ანალტეორ მანქანას, ახალზე იმუშავებს მხოლოდ ორი. კარუსელური-სამამოსხმე მანქანისათვის დადგენილია ანოდების ავტომატური სახსნელი, მოყვების ავტომატიკის სხეულის ამოტევის მექანიზმი, აგრეთვე გარეგანილობის არომევა და შეზღუდვა. შემანქანის კაბინა მთლიანად ჰერმეტიკალია.

დაიწყა ახალი კარუსელური მანქანის ტექნიკური პროექტის დამუშავება ნიკელის ჩამოსხმისათვის, რომელშიც ჩადგმული იქნება ფურცალური წყალამაგრებელი მოწყობილობა, რაც უზრუნველყოფს სხეულის უფრო მაღალ ხარისხს.

გასული წლის ოქტომბერში თბილისსა და აბასთუ-
მანში ჩატარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
ასტრონომიული საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნი-
ერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობ-
სერვატორიის მიერ მოწვეული ვარსკვლავთ ასტრონო-
მიის კომისიის მე-3 პლენუმი (დარგობრივი კონფერენ-
ცია). პლენუმის მოწვევის მიზანს შეადგენდა ვარსკვ-
ლავთ ასტრონომიის ცალკეულ დარგებში უკანასკნელ
ხანს შესრულებული სამუშაოების გაცნობა და ამ დარ-
გთა სპეციალისტების შორის მუშაობის გამოცდილების
ურთიერთგაზიარება. პლენუმის მუშაობაში მონაწილე-
ობა მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებსა
(მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ოდესა, როსტოვი, რიგა,
ტარტუ, სვერდლოვსკი, ალა-აბა, სტალინაბადი, თბი-
ლისი) და ობსერვატორიებში (პულკოვოს, მოსკოვის,
ყირიმის, ბუთარკანის, კიევის, აბასთუმნის) მოუშვე-
ნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი იგლის
ასტრონომიული ობსერვატორიის (აშშ) დირექტორი
პროფ. დ. ბრაუერი და ინგლისის სამეფო საზოგადოე-
ბის წევრი, ლოხდონის უნივერსიტეტის პროფესორი
გ. მაკ კრიგი.

პლენუმზე მოსმენილ იქნა 40-მდე მოხსენება, რომ-
ლებიც ეხებოდა ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის საერთო
აგებულების პრობლემას. მოხსენებები დანაწილებული
იყო ორ ძირითად ჯგუფად. ერთი ჯგუფის მოხსენებები
შეიცავდა დაცივრებითი ვარსკვლავთ ასტრონომიის
პრობლემებს, მეორე ჯგუფის მოხსენებებში კი გაშუქ-
ბული იყო ვარსკვლავთ სისტემების კინემატიკისა და დი-
ნამიკის საკითხები.

პლენუმის მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. შესავალ
სიტყვაში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორმა და აბასთუმნის ასტროფიზი-
კური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ პლე-
ნუმის მონაწილეებს გააცნო პლენუმის მოწვევის მიზნე-
ბი, პლენუმის მუშაობის პირობები და ზოგადი მიმოხილ-
ვა გააცნო ვარსკვლავთ ასტრონომიის თანამედროვე
მდგომარეობის შესახებ.

პლენუმზე პირველი მოხსენებით გამოვიდა მოსკო-
ველი ასტრონომი პ. ხოლოზოვი. მის მოხსენებაში, რომ-
ელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირის ობსერვატორიებსა
და სამეცნიერო დაწესებულებებში წარმოებულ ვარ-
სკვლავთ ასტრონომიული სამუშაოების მიმოხილვას,
დაწვრილებით იყო დახასიათებული საბჭოთა კავშირის

მეცნიერთა წვლილი მსოფლიოს ასტრონომიულ მეცნი-
ერებათა განვითარებაში. აქვე იქნა დასმული საკითხი
იმის შესახებ, რომ საჭიროა უფრო მეტად განვითა-
როთ ვარსკვლავთ სიდიდეთა განსაზღვრის ფოტო-
ელექტრული მეთოდი, განსაკუთრებით კი სპეციალურად
შერჩეულ არეებში, და ამასთან დაკავშირებით უარი თო-
ქვას მაუნტ-უილსონისეულ (აშშ) ფოტოგრაფიული
სტანდარტების გამოყენებაზე, როგორც უკვე მოქმედ-
ებულსა და ნაკლებად ზუსტზე; საჭიროა თანამედროვე
სპეციალური მიკროფოტომეტრების გამოყენების სა-
ფუძველზე ამაღლდეს ვარსკვლავთ სიდიდეთა მასობ-
რივი განსაზღვრების სისუსტე და სიჩქარე; ამასთან
პრაქტიკაში უნდა დაინერგოს ისეთი სწრაფმოქმედი ავ-
ტომატური საზომი მანქანის გამოყენება, რომლებიც
უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას პერფორა-
ციებზე დაცივრებითი მასალის შემდგომი მანქანური და-
მუშაუებისათვის; ვარსკვლავთ ასტრონომიული ამოცა-
ნების გადასაწყვეტად აუცილებელია განვითარდეს რა-
დიოასტრონომიული მეთოდების გამოყენებასთან დაკავ-
შირებული სამუშაოები, ელექტრონული ფოტოგრაფია
და სხვ.

პირველ სხდომაზე, გარდა აღნიშნული მოხსენები-
სა, წაკითხულ იქნა პროფ. ე. ხარაძისა და ფიზიკა-მათე-
მატიკის მეცნიერებათა კანდიდატის რ. ბარათაის მოხსენ-
ება, რომელშიც განხილული იყო იმის ნახტომის სამ
შერჩეულ უბანში ვარსკვლავთ სპექტრული მიმოხილვა
და ორგანოზომილბიანი სპექტრული კლასიფიკაციის სა-
კითხები. საამისოდ ავტორებს გამოყენებული აქვთ
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მენისკო-
რი ტელესკოპის დიდი ობიექტივი წინა პრიზმა, რომელიც
უზრუნველყოფს საკითხის გადაწყვეტის მაღალეფექტუ-
რობას. მათ მიერ დადგენილი შესწავლილ უბნებში
რამდენიმე ასოციაციის საზღვრები და ერთ-ერთის არსე-
ბობა. სხვა მოხსენებები ეხებოდა სპექტრული მიმოხილ-
ვის მეთოდით გალაქტიკის შესწავლას (მ. დილიძე, აბას-
თუმანი), მუდმივი და ცვალებადი ბრწყინვალების გი-
განტების სივრცულ განაწილებას (ი. იაჟნეიკი, რიგა),
ვარსკვლავთ სფერული გროვების სისტემასა და ვარსკ-
ვლავთ განვითარების საკითხებს (ბ. კუკარჩინი, მოსკო-
ვი), ვარსკვლავთ ერთ-ერთ გროვში ვარსკვლავიერი
სიმკვრივის განაწილებას (პ. ხოლოზოვი და ნ. არტუზო-
ნა), გალაქტიკური ვარსკვლავთ გროვების მოძრაობას
(კ. ბარხატევი, სვერდლოვსკი), საკუთარ მოძრაობათა
პულკოვოს კატალოგს (ვ. ვლადიმეკი, პულკოვი), ვარს-
კვლავთ ასოციაციების გაფართოებას (ლ. მიროსონი,
ბუთარკანი), ვარსკვლავთა სხივურ სიჩქარეებს (რ. კილა-
ძე, აბასთუმანი) და სხვ.

პლენუმმა ვარსკვლავთ ასტრონომიის კომისიის თავმჯდომარედ პროფ. ე. ხარაძე აირჩია.

პლენუმის მსვლელობამ ნათლად დაგვანახა, რომ ვარსკვლავთ ასტრონომიის დარგში ფართო მოცულობის სამუშაოები წარმოებს და ჩვენი გალაქტიკისა და გარეგალაქტიკების სტრუქტურისა და სხვა თავისებურებების დასადგენად საბჭოთა ასტრონომები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან; კერძოდ, აღინიშნა საქართველოს ასტრონომების მნიშვნელოვანი წვლილი ამ მიმართულებით.

პლენუმზე აბასთუმნის ობსერვატორიისა და თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ წაკითხულ იქნა 10 მოხსენება. თავის გამოსვლებში ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორიც არიან პროფ. კ. ოგოროდნა-კოვი, პროფ. ო. მელნიკოვი, პროფ. ვ. ნიკონოვი და სხვ., მალალი შედგება მისცეს მ. დოლიძის, რ. ბართაიას, რ. ძიგვაშვილის, რ. კილაძისა და სხვ. შრომებს. კარგი შეფასება მიიღო აგრეთვე ჯ. ხაფთასის მიერ ახლანს გამოცემულმა ბნელი ნისლეულების კატალოგმა. იგი კარგ სამსახურს გაუწევს ვარსკვლავთ ასტრონომიაში მომუშავე ბევრ სპეციალისტს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღებით იქნა განიხილული ის საკითხები, რომლებიც მოითხოვს შემ-

დგომ კოორდინაციასა და მეცნიერული ძალების გაერთიანებას. ტექნიკის განვითარებამ და ქარსის წარმოების ათვისების დაწყებამ ასტრონომების წინაშე მასშტად დააყენა ახალი პრობლემები და მრავალი საკითხის ახლებურად გადაჭრის საჭიროება. პლენუმის მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

პლენუმის მუშაობის დღეებში მისი მონაწილენი ეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. ასტრონომების ნაწილმა საქართველოს მუზეუმში დაათვალიერა ძველი ქართული ასტრონომიული ხელნაწილების გამოფენა, ნაწილმა კი — თბილისის უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრა და დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დასაკვირვებელი სადგური; თბილისიდან აბასთუმანმდე მგზავრობისას დაათვალიერეს ქ. მცხეთა და გორი; აბასთუმანში გაეცნენ ობსერვატორიის მუშაობას, ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკას; დაათვალიერეს ასტროფიზიკური ობსერვატორიის მოწყობილობანი და დასამზერო იარაღები; ნახეს ქრონიკალური კინოკადრები ობსერვატორიის მუშაობიდან და ცხოვრებიდან.

დოცენტი მ. კოხლიაშვილი

ვაგონები განიტვირთება ექსკავატორით


ნახევარვაგონებიდან ხრეშის, ღორღის, ქვიშის, ლამისა და სხვა ფხვიერი საშენი მასალის გადმოტვირთვა ზედმიწევნით შრომატევადია. განსაკუთრებით ძნელია იგი ზამთრის პერიოდში, როდესაც ეს მასალა ვაგონის მთელ სიმაღლეზე იყინება და საჭირო ხდება მისი წანაწირი გაფხვიერება. ეს სამუშაო ხშირად ხელით — ძალადენითა და წერტილი სრულდება.

ინჟინერ ვ. კარპოვის წინადადებით ნახევარვაგონების განტვირთვისათვის გამოყენებულ იქნა ექსკავატორი, რომელიც აღჭურვილია ბრტყელი შეცვლად ნიშნით. იგი წარმოადგენს 2x2 მ-ის ზომის ფოლადის ფურცელს, ცხაურთან მიმართული ღვართი. ღვართს ზედა ბოლო სახსრითრდება მგზრდება ცხაურთან საბრუნ ისარზე, რომელიც თავის მხრივ ასევე სახსრითრდება შეერთებული დრაგალანის ისართან. ნიშნების შევრთვისადილიზე საბრუნის ისრით დამაგრებულია ამწევი გვარლი, ჰედა ფუძიდან 1,9 მ სიმაღლეზე ნიშნები მიმაგრებულია დამჭიმავ გვარლზე, რომელიც მიდის ექსკავატორის ჯალამბრის დოლთან.

ახალი სამარჯვის მქონე ექსკავატორის მუშაობის პრინციპი ნათლადაა მოცემული ნახ-ზე.

გასატვირთავი ფონტის გასწვრივ ექსკავატორის გადასადგომი უღელსად რკინიგზის ლინადგის პარალელურად კედლება ყრილი.

ნიშნებისა და საბრუნის ისრების საკუთარი წონის ზემოქმედებით ფოლადის ფურცელი 10-15 სმ-ზე ჩადის გადმოსატვირთავ მა-



სალაში. ირთვება ექსკავატორის ჯალამბარი და დამჭიმავი გვარლი ჰიმაზს ნიშნას, რომელიც „გადმონიშნავს“ ტვრთის ნახევარვაგონის ღია სამართიდან.

ვ. კარპოვის წინადადების გამოყენებამ ნახევარვაგონების განტვირთვის დრო 15 წუთამდე შეამცირა.

მეხანაიის ყვავილის გზების გნიშვნალობა დადამიწის ნახსუნის შესწავლაში



ი. შაპილოვა


უკანასკნელ ხანებში გეოლოგიური კვლევის მეთოდებს შორის დიდი პრაქტიკული გამოყენება პოვა პალეობოტანიკის ახალმა დარგმა, ე. წ. სპორებისა და მტვრის ანალიზმა. აღნიშნული მეთოდის შესწავლის საგანს წარმოადგენს გეოლოგიურ წარმონაქმნებში შენახული მცენარეთა განამარხებული სპორები და მტვერი.

ცნობილია, რომ მცენარეები უდიდესი რაოდენობით წარმოშობას მტვრის, რომელიც ყვავილიდან ყვავილზე გადააქვს ე. წ. დამტვერვის აგენტებს: ქარს, წყალს და ზოგიერთ ცხოველს. ამასთან დაკავშირებით არჩევენ ქართულ დამტვერილ (ანემოფილურ), ცხოველებით დამტვერილ (ზოოდიოფილურ) და წყლით დამტვერილ (ჰიდროფილურ) მცენარეებს. ცხოველთა შორის დამტვერვაში ყველაზე დიდ როლს ასრულებენ მწერები (ენტომოფილური დამტვერვა) და გაცილებით ნაკლებს — პატარა ჩიტები (ორნოთოფილური დამტვერვა). მაგრამ მთელი რაოდენობა მტვრისა, რომელსაც მცენარე იძლევა, მხოლოდ განაყოფიერებას როდი ხმარდება; მათი უმეტესი ნაწილი იღეჭება ქაობების, ტბებისა და ნიადაგის ზედაპირზე, აგრეთვე ზღვის სანაპირო ზოლში, სადაც ხდება მისი შემდგომი განამარხება.


მცენარეთა გარკვეული ჯგუფების სპორები და მტვერი ერთგვარი და მუდმივი მორფოლოგიური თვისებებით ხასიათდება. ამის საფუძველზე შესაძლებელია მცენარეთა სხვადასხვა ოჯახების, გვარებისა და სახეობათა დადგენა. მცენარის მტვრის მომწიფებულ მდგომარეობაში ორმაგი გარსი აქვს: გარეთა — ეგზინა და შიგა — ინტინა. ეგზინა შედგება კუტინისმაგვარი* ნივთიერებისაგან და დიდ მდგრადობას ინებს ქიმიური და ბიოქიმიური შემოქმედებისადმი, ინტინა კი, პირიქით, თხელია და ნა-

ტეგზინა, დაფარულია სხვადასხვა სკულპტურული გამოჩაჩრდებით, რომელთა ტიპი დამახასიათებელია გარკვეული გვარებისა და სახეობათათვის (ნახ. 1).

მტვრისა და სპორების შესწავლისას ეგზინის სკულპტურა ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთვისებაა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება მცენარის განსაზღვრა. ენტომოფილურ მცენარეებს სკულპტურული გამოჩაჩრდები უფრო რთული და თავისებური აქვს, ვიდრე ანემოფილურებს. სხვა დიფერენციურ თვისებებთან აღსანიშნავია ფორმები და ღარები (ნახ. 2). ზოგიერთ მარ-



ნახ. 4




ნახ. 5

ცვალს იმდენად ბრტყელი და ფართო ღარი აქვს, რომ გავლენას არ ახდენს მარცვლის ფორმასა და მოხაზულობაზე; ზოგს კი, პირიქით, იმდენად ღრმა ღარი აქვს, რომ მარცვალს ცალკეულ ნაკვეთებად ჰყოფს (ნახ. 3).

სრულიად განკარგოებით დგას წიწვინი მცენარეების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთა მტვრის მარცვალს სპეციალური გამონაზარდები, ე. წ. საპერო პარკები, აქვს. ასეთი პარკების რიცხვი უმოთვრესად ორია. ეს გამონაზარდები ექტეგზინის განშრევებისა და გაზრდის შედეგად ჩნდება, რითაც ძლიერ მცირდება მარცვლის კუთრის წონა და მატულობს მტვრის ფრენის უნარი (ნახ. 4).

სპორებს აქვს სამფენოვანი გარსი, რომელთაგანაც შუა თავისი ქიმიური შედგენილობით ახლოს დგას ეგზინასთან. განამარხებულ მდგომარეობაში სპორების გარსის სწორედ ეს ნაწილი ინახება. სპორებს არა აქვს ფორები, სამაგიეროდ აქვს ე. წ. ხლეჩის ნაპრალები, რომლებიც ერთ-ანს ამსხვივინია. მათი არსებობა სპორების მტვრისაგან გარჩევის მკვეთრი საშუალებაა (ნახ. 5).

ეგზინის მდგრადობის გამო მტვერი კარგად ინახება განამარხებულ მდგომარეობაში, მაგრამ ინახება მხოლოდ ეგზინა, ე. ი. მტვრის გარე გარსი, შიგა გარსი — ინტინა და პლაზმა კი იშლება. განამარხებული ეგზინა კარგად ინახავს მტვრის მარცვლის გარე აგებულების ყველა დე-



ნახ. 1




ნახ. 2



ნახ. 3

ზი. თავის მხრივ, ეგზინას შეადგენს სამი ფენა: ექტეგზინა, მეტეგზინა და ენდეგზინა. ეგზინის გარეთა ფენა, ექ-

* კუტინი — ცელისებრი ნივთიერება, რომლითაც გაყდნითლია მცენარის გარეთა ნაწილები.



ნახ. 6

ტალს. გეოლოგიური წარმონაქმნების შედარებით ახალ-გაზრდა შრეებში განამარხებული მტერის მარცვლები შენარჩუნებული აქვს თავისი მოცულობა, ხოლო უფრო ძველ შრეებში ისინი კარგავენ პირველად ფორმას, ბრტყელდებიან.

პირველი ცნობები განამარხებული მტერისა და სპორების შესახებ გამოქვეყნდა გასული საუკუნის 40-იან წლებში. მათ შორის უნდა აღინიშნოს შვეიცარიელი გეოლოგის ფრუხის ნაშრომი (1885 წ.). რუსეთში ამ საქმის პიონერი იყო აკად. ვ. სუკაჩოვი, რომელმაც პირველი ნაშრომი 1903 წელს გამოაქვეყნა. მაგრამ აღნიშნული ნაშრომები არ იყო სრულფასოვანი და ვერ აკმაყოფილებდა ფართო პრაქტიკულ მოთხოვნილებებს.

ჩვენს ქვეყანაში ამ მეთოდმა განვითარება მიიღო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ (1923 წ.), მაშინ, როდესაც გამოქვეყნდა პროფ. დ. დოკუტოვსკის ნაშრომი „მტერის ანალიზის მეთოდი ტორფში“. შემდეგში რატეატუროვსკი ინტენსიურად სწავლობდა ყინვარულ ტორფებს. მასვე ეკუთვნის პირველი ცნობები საქართველოს ტორფიან ჭაობებში დაღეჭილ მცენარეთა მტერის შესახებ.

20-30-იან წლებში სპორებისა და მტერის ანალიზის მეთოდით შესწავლებოდა მხოლოდ ახალგაზრდა ნალექები, ამჟამად კი ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება ყველა გეოლოგიური ასაკის ნალექის შესწავლისას, დაწყებული უძველესით, ე. წ. პროტეროზოით.

მტერისა და სპორების შედგენილობა, გამოხატული პროცენტებში, წარმოადგენს ე. წ. მტერის სპექტრს. სპექტრის დათვინის შედეგები ძველი და ახალი ნიმუშე-

ბის თანმიმდევრობით გადააქეთ ერთ საერთო ტიპულზე, რის საფუძველზედაც აგებენ ე. წ. მტერის დიფერენციალურ დიაგრამებს. დიაგრამებს აგებენ კოორდინატთა სისტემის ქირჩილეთ. კოორდინატთა ღერძზე ზომიან სიღრმეებს, საიდანაც არის აღებული ნიმუშები, ხოლო აბსცისის ღერძზე — სპექტრის ყველა შემადგენელი ერთეულის პროცენტულ შედგენილობას. მიღებულ წერტილებს აერთიანებენ სწორი ხაზით და ღებულობენ ტენილ ხაზს, რომელიც მტერის არსებობის მიხედვით გვიჩვენებს ამა თუ იმ მცენარის რაოდენობის ცვლილებას კრიოში (ნახ. 6). ხშირად რომელიმე სახელმძღვანელო მცენარის გამოსაყოფად აბსცისის ღერძსა და ტენილ ხაზს შორის ფართობს ღებავენ ამა თუ იმ ფერად. ზოგჯერ გამოიყენება რამდენიმე განსხვავებული ტიპის დიაგრამა, რომელშიც კოორდინატთა ღერძზე ზომიან სიღრმეებს და ეს ღერძი საერთო რამდენიმე გრაფიკისათვის; აბსცისის ღერძი კი შეესაბამება მცენარის რომელიმე გარკვეულ სახეს ან გვარს. ამ საფუძველზე აგებენ მრუდს, რომელიც გამოხატავს მტერის სახეთა რაოდენობას კრიოში.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ე. წ. კომბინირებული დიაგრამები. ხე-მცენარეთა მტერის შედგენილობას უჩვენებენ პირველი ტიპის დიაგრამით, ხოლო მარცვლოვანთა და სხვა ბალახოვანთა მტერს კი — დამოუკიდებელ გრაფიკზე. ამგვარად ხდება გეოლოგიური წელთაღრიცხვის დიდი თუ პატარა მონაკვეთისთვის დამახასიათებელი მცენარეთა ტიპების დადგენა, რასაც სპორებისა და მტერის კომპლექსებს უწოდებენ.

პალეოზოოური ერის სპორებისა და მტერის კომპლექსებში ჭარბობს უდაბლეს მცენარეთა, გვიმრათა და გვიმრათასებრი სპორები. ამ ერის დასასრულს ჩნდება შიშველთესლიანი მცენარეები. ეს უკანასკნელი ფართოდაა წარმოდგენილი მეზოზოურ ერაში. ცარცულ პერიოდში ჩნდება ფართულთესლიანები და ამ დროიდან იწყება მცენარეთა ამ ჯგუფის გაბატონება დედამიწის ზურგზე.

ცალკეულ ეპოქათა განმავლობაში კარგად ჩანს მცენარეული საფარის ამა თუ იმ ტიპების ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაზები. ამიტომ სპორებისა და მტერის კომპლექსთა დადგენის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გეოლოგიური წარმონაქმნების დეტალური დანაწილება. ამავე დროს მტერის კომპლექსები გამოხატავს კლიმატური პირობების გავლენას მცენარეული ტიპების ჩამოყალიბებაზე.

ამგვარად, სპორებისა და მტერის მეთოდს ფართო შესაძლებლობა აქვს გადაწყვიტოს არა მარტო გეოლოგიური, არამედ გეოგრაფიული და ბიოლოგიური საკითხები, გაარკვიოს ფლორათა ევოლუცია და ფილოგენეზისი, აღადგინოს წარსულის კლიმატები, ლანდშაფტები და დედამიწის პალეოგეოგრაფიული ცვლილებები. ამიტომ სავსებით გასაგებია სპორებისა და მტერის ანალიზის ლაბორატორიების არსებობა გეოლოგიურ, ბიოლო-

გიურ, გეოგრაფიულ და არქეოლოგიურ დაწესებულებებთან.

ამჟამად სსრ კავშირში დაახლოებით 250 ლაბორატორიაა: მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ყაზახეთში, ციმბირში, შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში და სხვ. ჩვენთან საქართველოში პალეობოტანიკის ამ დარგს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქ-

ვეყნებულმა ცალკეულმა შრომებმა ცხადყო, რომ ჩვენს პირობებში ამ მეთოდს დიდი პრაქტიკული გამოყენება და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ამჟამად საქართველოში ინსტიტუტთან უკვე ჩამოყალიბდა სპორებისა და მტერის ანალიზის ლაბორატორია, რომლის მიზანია სისტემატური კვლევების ჩატარება და ამ მეთოდის ფართოდ დანერგვა მეცნიერების პრაქტიკული და თეორიული საკითხების გადაწყვეტად.

ანეულის კიდედი კლტვიატორ-საწმენდელები КОПН-4,2 და КОПН-2,1

ანეულის კულტივატორ-საწმენდელები КОПН-4,2 და КОПН-2,1 (ნახ. 1 და ნახ. 2), რომლებიც დამუშავდა ქარხანა „კრასნი აკსის“ საცელაფრო საკონსტრუქტორო ბიურომ, განუთვნილია ნიადაგის გაფხვიერებისა და ანეულში სარეველა მცენარეულობის მოსასპობად, აგრეთვე არასაკმარის ტენის რაიონებში ნიადაგის თესვის-

დანები, რომლებიც გამოიყენება ნიადაგის ფენის, აგრეთვე სარეველას ღეროების და ფესვების გასაჭრელად.


კულტივატორის დამატებითი ერთვის სტანდარტული ისრული თათები, რომლებიც იდგმება ოთხ-ოთხი თითოეულ რევის ჩარჩოზე. მათ შეუძლიათ ნიადაგი უფრო ეფექტურად გაფხვიერონ შედგენილ თათებთან შედარებით.

კულტივატორების ძირითადი კვანძებია: ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს შენადულ ლითონურსტრუქციას კვადრატული კვეთის მილისაგან; დაცილების მექანიზმი კულტივატორის ტრაქტორის ჰიდროდრავლებთან შესაერთებლად; საურდენი თვლები კულტივატორის რეგულატორის ბრახანაზე მექანიზმებით; მუშა ორგანოების სექციები, რომლებიც შედგება რევის ჩარჩოსაგან მასთან დამაკრებელი მუშა ორგანოებით (თათები და დანები).

მუშა მდგომარეობაში კულტივატორის რეგულირება მოცემულ სიღრმეზე წარმოებს საურდენი თვლების ბრახანაზე მექანიზმებით.

ნიადაგი საათის შესვლის კუბის ინდივიდუალური რეგულირება წარმოებს საბრტყე ბრახანით საჭერის უკან, ჯგუფური — ტრაქტორის დაცილების ან გადაბმის მექანიზმის ზედა წევის სიგრძის ცვლილებით.

ორივე კულტივატორის დამუშავების სიღრმე ერთნაირია (6-12 სმ), 10 საათის მუშაობის დროს КОПН-4,2-ის მწარმოებლობაა 23,8, ხოლო КОПН-2,1-ისა — 27,6 ჰა (სამი სექციის).




ნახ. 1

წინა დამუშავებისათვის. ორივე კულტივატორი კიდედი და დამუშავებულია ანალოგიური მისაბმელი კულტივატორის КОП-4,2-ის ბაზაზე. მათ აქვთ საერთო მოწყობილობა და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ პირმოღების განით (КОПН-4,2-ის პირმოღების განია 4,2 მ, ხოლო КОПН-2,1-ისა — 2,1 მ).

ცალმაგი დაცილებით ან დაავრცელებით ნახევრად კიდედი გადასაბმელების СН-45А და СН-54А მეშვეობით კულტივატორებს შეუძლია შექმნას აგრეგატი მეურნეობაში არსებულ ყველა ტრაქტორთან (მათი სიმძლავრისა და მუშაობის პირობების გათვალისწინებით), რომლებსაც აქვთ დაცილების მექანიზმი ჰიდროდრავური ან წით.

კულტივატორებს აქვს შედგენილი ისრული თათები (420 მმ პირმოღების განით და 580 პირთა ფალის კუბით), რომლებსაც აუენებენ კულტივატორზე ორ განივ რიგში, რიგთა შორის 450 მმ მანძილზე. შედგენილ თათებს აქვს სწრაფსასწნელი ფრთები, თითოეულ ფრთას კი — ორმხრივი აღესვა, რაც შესაძლებლობას იძლევა ერთი პირის დებლაგვისას გადავარდნით ფრთა მეორე პირზე და განავარდნო მუშაობა. თათის წინ იდგმება დამხრული ბრტყელი



ნახ. 2

КОПН-4,2 კულტივატორის გამართული ზომებია: სიგრძე — 1840, სიგანე — 4235, სიმაღლე — 1270 მმ; КОПН-2,1-ის კი — სიგრძე — 1890, სიგანე — 2100, სიმაღლე — 1240 მმ.

მანქანა რეკომენდებულია საცდელი პარტიების სახით გამოსაშვებად.



100-ტონიანი ნახევარ-მისაბამლი

ურანულმა ფირმამ „ნიკოლ“ დააგეგმა 100-ტონიანი ნახევარმისაბამელი მსხვილ-გაბარიტინი მექანიზმების გადასაზიდად. ირდრმა შემწვარებული წინააღიდეგ მოქმედობა, რომ საწვავითან ერთად ქმნის ან-სამხელს ოთხი მშენი ღერძისაგან, ამასთან დატვირთვა ღერძებზე 17,5 ტ-ს არ აღემატება.

ნახევარმისაბამლის სიგრძე საწვავით 25 მ-ია. 65 ტ მარტივ დატვირთვისას ღერძზე დატვირთვა არ აღემატება 13 ტ-ს.

ბოლო მოსახვედებისათვის გათვალისწინებულია უკანა ურდის მიდრავლიერით მართვა, რომელიც საშუალებას იძლევა ვირადი განხორციელდეს 90°-ზე, ან იმობაროს უკუსვლით.

რობაციული ციმბრიდანული ტუმბო

შვეიცარიულმა ფირმამ „როლდენ“ აიზენ-ვერკი“ დააგეგმა პატარა და იაფი ცენტრიდანული ტუმბო. იგი წარმოადგენს მოცულობითი ტიპის საჭირბრუნავ მეთოდ-მასის რობოტით. ტუმბოს კორპუსს მარტივი ფორმა აქვს და მასში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი მილისი ლიდვისათვის და ცილინდრული დრუ როტორისათვის. როტორს განიკვეთში აქვს დაახლოებით ვარსკვლავისებრი ფორმა რამდენიმე დრუ „შემაბარავი“ შეფირბით, რომლებიც მთელ სიგრძეზე შეიძლება ეხება კორპუსის ცილინდრის დრუ შიგა ზედაპირს, როტორის ღერძების გადაადგილების გამო ბრუნვის დროს შეფირბები ხან შეიკუმშება, ხან კი ხელახლა გაფართოვდება რადიალური მიმართულებით. შედეგად სიგრძე მეზობელ შეფირბებს შორის უკველი მდინილი ბრუნვისას ხან იზრდება და ხან მცირდება. გაზრდა ხდება შემწვით არხის პირდაპირ, ხოლო შემცირება — საჭირბრუნავის პირდაპირ.

ძრავა... მოქრსაზან

ავტოსტეროს ზედფენებში, დაახლოებით 100 კმ-ის სიმაღლეზე, პავრის მოლველებით დაგეგმილი შრის ულტრაიისფერი სიხვედრით. აქ ენახებადი ცალკეული ატომების სახით იმყოფება.

თუ ენახებადი ატომებს რადიონარად ვა-ტომებზე შეფირბებს მოლველში, მაშინ ამ დროს გამოიყოფა სითბოს დიდი რაოდენობა. სწავლულებმა გამოიანგარაშეს, რომ ატომოსტეროს უკველი კუმბრ მ-ს 100-კმ-იან სიმაღლეზე შეუძლია გამოყოს ერთი კალორია ენერგია.

